645
1978/12

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1978 წ.

ЗНАК ПОЧЕТА

ეროვნული ბიბლიოთეკა

45
178/2



ვ. ბინჯბურგის ფოტო

# მასპინძლობდა საქართველო

წელს, 25 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე საქართველო მასპინძლობდა დიდებულ სტუმრებს, საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საბჭოთა ლიტერატურის დღეები მშვენიერი შემოდგომის დღეებს დაემთხვა. საქართველო გულლიად შეხვდა ძვირფას სტუმრებს. მათ იმოგზაურეს რესპუბლიკის მრავალ კუთხეში, ქალაქსა და სოფელში. და ყველგან იდგა ზეიმი ლექსისა, მხატვრული სიტყვისა, ძმობისა, მეგობრობისა! ეს იყო კავშირი გულთა შორის, ეს იყო დიდი საერთო დღესასწაული, გამთბარი ინტერნაციონალური სულისკვეთებით; გთავაზობთ იმ დღეებში წარმოთქმულ რამდენიმე ლექსს.

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

# ენგურჰესის ჩირაღდნები

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, დამპროექტებლებსა და მანქანათმშენებლებს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს

**ძვირფასო ამხანაგებო!**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის წინ ვადამდე ამოქმედდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატი.

გულითადად გილოცავთ ამ შესანიშნავ შრომით გამარჯვებას. იგი მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ თავდადებით შრომობს მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალეროვანი კოლექტივი. შემოქმედებითი თანამეგობრობაა დამყარებული სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო ინსტიტუტებთან, მოწყობილობის მიმწოდებელ ქარხნებთან, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, აგრეთვე ენგურჰესის მშენებლობის მონაწილე ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია.

პარტიისა და ხალხის ნება-სურვილისამებრ, საქართველოს ძველთაძველ, საარაკო მთებში შენდება ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, უნიკალური მაღლივი კაშხალი, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს განასახიერებს. ამიერიდან დამორჩილებული ბობოქარი ენგურის ენერგია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას მოხმარდება. ეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთა და ერთა ძმური და ურღვევი კავშირის ძლიერების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

მწამს, რომ ენგურჰესმშენის მრავალათასიანი კოლექტივი, ასრულებს რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ძალ-ღონესა და უნარს არ დაიშურებს, რათა მიმდინარე წელს უზრუნველყოს კიდევ ორი ჰიდროაგრეგატის ამოქმედება, რაც შეიძლება მალე დაამთავროს ენგურჰესის მშენებლობა და აამუშაოს იგი 1300 ათასი კილოვატი სრული სიმძლავრით.

გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, აგრეთვე დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

15862
8/2
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სილვა კაპუტიკიანი

### მტრედები

უნდონი, მფრთხალნი, მოშიშარნი, შორნი კაცთაგან
მტრედები, ჩემი მშობლიური მხარის მტრედები;
შეფარებულნი ძველ ლავგარდნებს მაღალ ტაძართა,
ჩამოხუნძლული ეკლესიის ძველი სვეტები...
და რაკი გულში ედგათ დიდი შიში და ეჭვი,
როგორ ფრთხებოდნენ, ცას ელტვოდნენ რა დაფეთებით,
ჩამოკრულ ზარზე სამრეკლოის, ნასროლი კენჭით, —
მტრედები, ჩემი მშობლიური მხარის მტრედები...
ახლა მიწაზე გოგმანობენ და ერევანის
აღარ აშინებთ მოედნების ასფალტი მკვრივი,
სიცილი ირგვლივ, ალტაცება და შადრევანი
და ხალხი ყოვლით, სადღაც იქვე მანქანაც კივის...
(და აღარც მახსოვს, თუ ოდესმე მტრედი შეშინდა!..)
მშვიდი გოგმანით ათას გამვლელს ფეხში ედებით
და მარცვალს კენკავთ სულ პატარა ბავშვის პეშვიდან...
მტრედები, ჩემი მშობლიური მხარის მტრედები...

თარგმნა გივი შაჰნაზარმა

## ბელა ახმადულინა

* * *

აღვსრულდებულვარ მრავალგზის, ხშირად
ჩამონგრეულა მზიანი თაღი.
მომჩვენებია, ცოდვილ სიტყვებით
ვბღალავ და ვზილწავ უცოდველ ქაღალდს...
მანადგურებდა, მღლიდა ცხოვრება,
მომბეზრებია ყოველი, ყველა...
მე საქართველო მყოლია მხსნელად!
მაგრამ... უსასო, მძიმე წუთებში
მიზეზი ამა სიყვარულისა
გამოუცნობი დამრჩება მარად...
ო, რომ იცოდეთ, როგორ მეძახდა,
როგორ ვუნდოდი ამ ზღაპრულ მხარეს!
თბილისო ჩემო, დღესაც არ ვიცი
შენი უსაზღვრო სითბოს მფლობელმა,
შენს წმინდა ზღურბლთან მე... ვინ დამაგდო
მკაცრ მშობელთაგან უარყოფილი?
არ აგიხსნია არცერთხელ ჩემთვის,
არც მე მიკითხავს შენთვის რატომღაც,
თანაც... მიხდიდი შენვე მადლობას?..
რისთვის მიყრიდი ამდენ სიკეთეს,
მარად უმაღლეს შენს საკურთხეველს
ჩემს უფაქიზეს სიყვარულს ვწირავ, —
თუმცა... ყველაფერი იქნება ცოტა,
თუმც... ყველაფერი იქნება მცირე!

თარგმნა ანა კალანდაძემ

## ევგენი ევტუშენკო

### ქართული ქვევრი

ქვევრებო, თქვენთა ექოთა ჟღერა
მე იმ ბალდათელ ბალღივით მჯერა.
თქვენით ვამოწმებ ხმის ჟღეროვნებას,
როგორც ეს მგოსანს მოეთხოვება.
ოღონდ ნუ ეძებს ეგ ჩემი ექო
გზას უკაცრიელს და საცალფეხოს,
გეზს ნუ მიიკვლევს ვიწრო ბილიკად,
სხვა ტომთა ხმებთან იქუხოს ერთხმად.
... ვიცი, რუსად რომ არ ვშობილიყავ,
ქართველკაცობას ვარჩევდი ქვეყნად!

თარგმანი გია მარგველაშვილისა

## გულრუხსორ საფიევა

ტაჯიკეთი

### ჩემი სიყვარული

ჩემი სიყვარული — ნალველი, თოვლი,
ბედნიერება და სიხარული,
ალსავსე შენი სიმების თრთოლვით,
გამთბარი შენი სიყვარულით!

ჩემი სიყვარული —
შუქად ღაღადისი,
ჩემი სიმღერების დასაწყისი!
ტკბილი ტკივილივით,
მწარე სინანულით,
ჩემი სიყმაწვილე — ჩემი სიყვარული!

ჰკნობა, ყვავილობა,
თრობა, სიბრალული,
ყველგან დამნაშავე — ჩემი სიყვარული.
ჩემი სიყვარული — შუქად ღაღადისი,
ჩემი სიმღერების დიდი დასაწყისი!

მე რომ მაფრთოვანებს,
მე რომ მახმოვანებს
და მე რომ მაქცია ლოცვა-გალობად,
ჩემი სიყვარული — მზე და მთოვარე,

მზე და მთოვარე რომ მიწყალობა!
ჩემი სიყვარული —
ლექსად ღაღადისი,
ჩემი სიმღერების დასაწყისი!

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

## რიმა კაზაკოვა

მოსკოვი

* * *

ლამაზი ქალი მოთხრობად იქცა:
— არ ვდარდობ სულაც, რა არის ბედი.
ჭადრაკად მექცა ცხოვრება, ვფიცავ,
და არაფერი არ მინდა მეტი.

ხსოვნაში ყრმობის ხანძარი ბჟუტავს,
ბავშვობა. გზები. შუქი სუფრაზე...
ვინ შესცვლის, აბა, ვინატრო თუნდა,
ძველი თამაშის წესებს უნაზესს?
აბურდულია, ვით ხის ტოტები,
რგოლი რგოლში და ფიქრებში — ფიქრი.
მე ველოდები. რას ველოდები.
როცა სიცოცხლე მიდის და მიჰქრის.

ვით ფრინველს მინდა, კარგად ვიცი მე,
ამ ჭაობიდან აფრენა ნისლად,
რა ვუყო ამდენ რეპეტიციებს,
როდის დადგება დღე სპექტაკლისა?!“
ვუსმენდი. ჩემთვის ვფიქრობდი, რა სურს?
რა უნდა? ტკივილს რაღა მე მიყოფს?! —
ლამაზი ქალი ითხოვდა პასუხს
და მის კითხვაში პასუხი იყო.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

## ყაისინ ყულიევი

ყაბარდო-ბალყარეთი

* * *

მე გადარებდი მთვარეს მნათობელს,
მეგულებოდი ვარსკვლავთა გვერდით,
შენ კი, აქ, ჩემთვის სადილს ათბობდი,
ბოსტანს თოხნიდი და ფანჯრებს წმენდდი.
რეცხავდი პერანგს და ძველ იატაკს,
არ აგიხედავს ერთხელაც ცისკენ.
და ვერც ამჩნევდი მთვარეს, ნიადაგ,
რომ გადარებდი ისევ და ისევ.
ოცი წელია — გკიდია ზურგზე
ჩვენი საერთო დარდი და საქმე.
ოცი წელია — ჩემს ნაჯღაბნ ფურცლებს
და ჩემს ცხოვრებას ციურ შუქს აფენ.
იმ ქალს, რომელიც მე პურს მიცხობდა,
იატაკს ხეხდა, მწვანილს არჩევდა,
პირველ დღიდანვე მთვარედ ვიცნობდი
და ბოლო დღემდე მთვარედ დარჩება.
მან მაპოვნინა ბნელ ტყეში კვალი,
თუკი რაიმე ძვირფასს მივაგენ.
დადის ოთახში ჭაღარა მთვარე
და ჩემს არეულ ყოფას მილაგებს.

თარგმნა ვახტანგ ხარჩილავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგის ცაიშვილი

# ქართული მწერლობის სათავეებთან



(„შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი)

ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებას დრო და ჟამი რომ ვერაფერს აკლებს, ამის ბევრი მაგალითი იცის მსოფლიო მწერლობის ისტორიამ. საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ ისინი პირველქმნადობის მომხიბვლელობას, განამტკიცებენ რწმენას ადამიანურ ვნებათა მარადისობაზე.

ათას ხუთასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიწერა ქართული ორიგინალური მოთხრობა „წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაი“. როგორც მხატვრული ღირსებებით, ისე მძაფრი პრობლემატიკით იგი, მართლაც, უნიკალური ძეგლია და სათავეს უდებს მრავალსაუკუნოვან ქართულ მხატვრულ პროზას.

მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ (იგი დაიწერა მე-5 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს) მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი მწერლობის პირველ ძეგლად. უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ძეგლს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია შედარებით სრული სახით.

ქართული მწერლობის სათავეები, რასაკვირველია, ბევრად უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ მეხუთე საუკუნეზე ადრეულ ძეგლებს, კერძოდ კი ანტიკური ხანის ნიმუშებს, ჩვენამდე არ მოუღწევია. მათზე მხოლოდ ცალკეული მინიშნებანი თუ მოგვეპოვება, ისიც შედარებით გვიანდელ წყაროებში.

როგორც ჩანს, ერთნაირი ბედი გაიზიარა როგორც ქართულმა დამწერლობამ, ისე ამ დამწერლობაზე შექმნილმა ადრეულმა ლიტერატურამ.

შუა საუკუნეების საქართველოს ახალი კულტურა კი სხვა მიმართულებით წარიმართა. ამ გზაზე პირველი და უახლესი მნიშვნელობის აქტი ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება შეიქმნა. ეს კი, როგორც ცნობილია, დაახლოებით მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში მოხდა და უკავშირდება ნინო განმანათლებლის სახელს.

მეცნიერების დღევანდელ ეტაპზე ცხადზე უცხადესია, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც დასავლეთის გზით შემოვიდა ჩვენში, განუზომლად დიდი მისია იტვირთა ქართველი ხალხის შემდგომ ისტორიულ ცხოვრებაში.

ზოგადი თვალსაზრისითაც ქრისტიანობა წინარე რელიგიებთან (ამ შემთხვევაში წარმართულ რელიგიებთან) შედარებით მაღალ იდეოლოგიურ დონეს გულისხმობდა, ხელს უწყობდა როგორც საზოგადოებრივი, ისე პიროვნული სრულყოფისა და ზნეობრიობის ახალი იდეალების დაფუძნებას.

ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ მაგალითზე კი იგი გადაიქცა მძლავრ შემაკავებელ ზღუდედ აღმოსავლური ექსპანსიის გზაზე და, ამდენად, აშკარად ეროვნული შინაარსი შეიძინა. ამასთან, პერსპექტივაში ამ ნაბიჯით ქართველი ხალხი სრულიად ახალ კულტურულ რეგიონში მოექცა და იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა ახალი ცივილიზაციისაკენ მსწრაფ ქვეყნებს.

დასასრულ კი, ქრისტიანობამ, ვითარცა უაღრესად მწიგნობრულმა რელიგიამ, დიდად შეუწყო ხელი ჩვენში განათლებისა და კულტურის წინსვლა-აღორძინებას.

„შუშანიკის წამება“ სწორედ ქართული ქრისტიანობის გარიჟრაჟზე შექმნილი ძეგლია და სათავეს უდებს ახალი ტიპის მწერლობის ზრდა-განვითარებას.

მძაფრი ეპოქები მძაფრ ტალანტებს ბადებენ — ეს ჭეშმარიტება არაერთხელ გაცხადებულა კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის სფეროში.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი ასეთი ეპოქაა სწორედ მეხუთე საუკუნე. ორი დიდი ქვეყნის, ირანისა და რომის შეტაკებათა სარბიელად ქცეული საქართველო ხსნის საკუთარ გზას ეძიებდა.

როგორც ცნობილია, ამ ხანებში ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის უპირველესი გმირია ვახტანგ გორგასალი, ხოლო მისი მოღვაწეობა სამი უმთავრესი ნიშანსვეტით აღიბეჭდა:

უწინარეს ყოვლისა, ეს იყო მრავალწლოვანი ბრძოლა ირანული აგრესიის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასალმა შეძლო ქართველ ხალხთან ერთად კავკასიის სხვა, მათ შორის მოძმე სომეხი ხალხების შემოკრება. ამასთან, იგი ორიენტაციას ხალხის დაბალ ფენებზე იღებდა, რომლებიც წინააღმდეგ მოღალატე ფეოდალებისა, მხარში ამოუდგნენ სახელოვან მეფეს უთანასწორო ბრძოლაში.

მეორე ამოცანა ახალი იდეოლოგიის განმტკიცება იყო, რომელიც ქრისტიანობის ნიშნით მძლავრ იარაღად იქცა ირანული იდეოლოგიის (კერძოდ, მაზდეანობის) წინააღმდეგ.

დაბოლოს, გაბედული პოლიტიკური აქტი, რომელიც ისევ და ისევ ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირდება. ვგულისხმობ ქვეყნის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანას, რისი უდიდესი მნიშვნელობაც აგრერიგად გაამართლა ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ.

სწორედ ამ ეპოქის შეუპოვარი სული ტრიალებს იაკობ ხუცესის დიდებულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“, რომელიც ჟანრობრივად ქრისტიანულ მწერლობაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ აგიოგრაფიულ დარგს განეკუთვნება.

მართლაც, ერთი შეხედვით, ავტორის მიზანია დეტალურად აღწეროს შუშანიკ დედოფლის მოწამებრივი ღვაწლი ქრისტიანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პისათვის, რაც საერთოდ ყოველი აგიოგრაფიული თხზულების ძირითადი ამოცანაა.

მაგრამ, ფაქტიურად, აქ წარმოდგენილია ფართო ისტორიული ტილო, რომლის ხერხემალს ქმნის მძაფრი დაპირისპირება ორ მოწინააღმდეგე პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ძალას შორის.

მოქმედება გაშლილია სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში (ქვემო ქართლის უკიდურესი მხარე), რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა სომხეთსა და ირანს.

ამ პროვინციის ერისთავი ანუ პიტიახში ვარსქენი ირანულ ორიენტაციას განასახიერებს და ფაქტიურად ღალატის გზას დაადგება. სწორედ ასეთი ადამიანები იყვნენ საჭირონი ირანული აგრესიისათვის, რომელთაც ირანის შაჰები ქვეყნის მოღალატე ფეოდალთა შორის ეძიებდნენ (ეს ადრევე ნაცადი ხერხი იყო და, სამწუხაროდ, ჩვენმა ისტორიამ ამის ბევრი მაგალითი იცის). ვარსქენი, როგორც ჩანს, ირანის შაჰის შთაგონებით, უარყოფს ქრისტიანობას და აღიარებს წარმართულ რელიგიას, ცეცხლთაყვანისმცემლობას ანუ მაზდეანობას. გულუხვი საჩუქრებითა და დაპირებებით დაბრმავებული, ამასთან აღუთქვამს შაჰს, რომ იგი საკუთარ ოჯახსაც მოაქცევს მაზდეანობაზე. გასაგებია, თუ რა მაგალითის მიმცემი იქნებოდა ეს ნაბიჯი მის გამგებლობაში მყოფი ქვეყნისათვის. ეს მხოლოდ იდეოლოგიური ღალატი კი არ იყო, არამედ, უწინარეს, პოლიტიკურიც, რაც ეროვნულ დამოუკიდებლობას აშკარად უთხრიდა ძირს.

ასეთ მძაფრ სიტუაციაში საპირისპირო ძალას გამოხატავს შუშანიკ დედოფალი, მეუღლე ვარსქენისა, რომელმაც თავს მოწამის გვირგვინი დაიდგა და ბოლომდე შეუპოვრად აღუდგა წინ ოჯახისა და ქვეყნის მოღალატე ქმარს. მაგრამ ავტორი, რომელიც აგრერიგად გრძნობს ისტორიულ პერსპექტივას, არ იფარგლება ამით და მხატვრულად ძლიერი ეპიზოდებით გვიჩვენებს შუშანიკის მოწამეობის მაღალ ზემოქმედებითს ძალას ეროვნული შეგნების გამოღვიძებისათვის, გვიხატავს იმ საყოველთაო თანაგრძნობას, რომელსაც აღძრავდა ხალხში შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლი.

იაკობ ხუცესი მთლიანად იმ პოზიციაზეა, რომელსაც სათავეში ედგა დიდი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ გორგასალი (მან, მართლაც, სასტიკად დასაჯა 483 წელს ეროვნული საქმის ღალატის გამო ვარსქენ პიტიახში). ხოლო იაკობი სათავეს უდებს ქართულ მწერლობაში იმ ეროვნულ კონცეფციას, რომელიც რჯულისა და მამულისათვის ერთიან ბრძოლაში იწრთობოდა. გაივლის ხანი და უკვე იოანე საბანისძე სამარცხვინო ბოძზე გააკრავს რჯულისა და მამულის მოღალატეებს, რომლებიც „ძლავრებითა შეიწრებულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

მაგრამ არც ეს, თავისთავად უაღრესად პროგრესული კონცეფცია, არც ზემოთწარმოდგენილი იდეოლოგიური კონფლიქტი ალბათ არ იქნებოდა საკმარისი ჭეშმარიტი მხატვრული სინამდვილის შესაქმნელად, რომელსაც, რასაკვირველია, ყოველთვის მეტი ემოციური ზემოქმედების ძალა შესწევს.

იაკობ ხუცესმა კონფლიქტის მთელი სიმძიმე პერსონაჟთა სულიერ სამყაროში გადაიტანა და მკითხველს ღრმა, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე, ფსიქოლოგიური დრამა წარმოუსახა, რომელიც ამასთან სათავეს სოციალურ შრეებში იღებს.

ვარსქენის მოღალატური ნაბიჯი, ეროვნულ სიბეცესთან ერთად, დანგრევას უქადის სულ სხვა ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებულ ოჯახს. შუშანიკისა და ვარსქენის მეუღლეობრივ კავშირს (მაზდეანობა მრავალცოლიანობას დასაშვებად მიიჩნევდა, ხოლო ვარსქენს შაჰმა შესთავაზა კიდეც თავისი ქალიშვილი).

მართლაც, იაკობ ხუცესის მიერ წარმოდგენილ შუშანიკის სახეში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადი ტრაგედია, რაც საოცარ სიმძაფრეს ანიჭებს თხზულებაში გათამაშებულ კოლიზიებს.

შორეულ საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენ შემოგვცქერის მწუხარე სახე მაღალი ზნეობრივი პრინციპებისათვის მებრძოლი ქალისა. იაკობ ცურტაველის ერთი დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მის მიერ წარმოსახული შუშანიკი მკვეთრად განსხვავდება ე. წ. აგიოგრაფიის ტიპიური გმირისაგან, რომლის უპირველესი თვისებაა ტანჯვისადმი ინდიფერენტიზმი და სიკვდილთან მიახლოების „ნეტარი განცდა“.

ქმრის უკუღმართი საქციელით შეურაცხყოფილი ახალგაზრდა ქალი ფანატიკური სიჯიუტით ეგებება მოახლოებულ საშინელებას. მაღალი წრის ნებიერად გაზრდილი დედოფალი (იგი სომეხთა სპასპეტის, სხვათაშორის, ირანელთა დაუძინებელი მტრის, ვარდან მამიკონიანის ასული იყო და სიყრმიდანვე საქართველოში გაზრდილი) მზად არის აიტანოს ყოველგვარი დამცირება, ტანჯვა და გვემა.

ფერები და ინდივიდუალური შტრიხები არ დაუკლია შუშანიკის ხასიათისათვის მწერალ-აგიოგრაფს (რაც ასე იშვიათი მოვლენა იყო შუასაუკუნეთა მწერლობაში როგორც ჩვენში, ისე მსოფლიო მასშტაბით). თუ ერთი მხრით, აგიოგრაფთა სტილის თანახმად შუშანიკი „ნეტარი“, „წმინდა“ „ქრისტეს სძალი და მხევალია“, მეორე მხრით, მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო, იგი ჩვეულებრივი წმინდანივით უდრტვინველად როდი ხვდება მასზე დატეხილ უბედურებას. არც გადამეტებული სიფიცხე და თავშეკავებულობაა მისთვის უცნობი რამ, რაც ბევრი ეპიზოდით არის წარმოსახული თხზულებაში (საკმარისია აქ გავიხსენოთ „პურობის სცენა“, რომელშიც ძალზე კონკრეტული შტრიხებითაა ნაჩვენები გმირის ხასიათის ზოგი თვისება).

შუშანიკის სახე საოცრად დინამიკურად ვითარდება მთელი ნაწარმოების მანძილზე, რაც აგრეთვე უჩვეულო იყო აგიოგრაფიის ლიტერატურული გმირისათვის (აქ გმირი სტატიური და იმთავითვე დასრულ[illegible] მისი პიროვნება შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსეა და ასეთ წინააღმდეგობათა ჭიდილში ყალიბდება მისი, როგორც წამებული გმირის ხასიათი. იგი ჯიუტად იბრძვის მის მიერ აღიარებული პრინციპების დასაცავად და სულიერი მხნეობით ხვდება ყოველგვარ განსაცდელს (გავიხსენოთ წამებისა და გვემის საშინელი სცენები). მაგრამ იგი ემოციურად, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამჟღავნებს სიცოცხლისადმი დაუოკებელ ლტოლვას. ჩვენ კარგად ვგრძნობთ გონებისა და გრძნობის შეუპოვარ ჭიდილს, სიცოცხლეზე შეყვარებული ახალგაზრდა ქალის გულის ფეთქვას. უნებურად შეუძლებელია არ მოგვაგონდეს განდეგილობის უნივერსალური თემა, რომელიც ასე ბრწყინვალედ წარმოგვისახა ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში. როგორ გვაგონებს ილიას განდეგილის სიტყვები „ხოლო გზა ხსნისა, ასეთი მერგო მე უბედურსა“, შუშანიკის მიერ წარმოთქმულ საყვედურს: „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე“.

ასევე განსაცვიფრებელია მწერლის მხატვრული ოსტატობა, როცა იგი ასეთი შინაგანი წინააღმდეგობებით წარმოგვიდგენს ვარსქენის სახეს. უფრო მეტიც, თხზულებაში მოქმედ პირთა მთელი გალერეაა წარმოსახული და თითქმის ყველა მათგანისათვის მონახულია რაღაც დამახასიათებელი კუთხე, ნიშანდობლივი შტრიხი. საკმარისია აქ გავიხსენოთ ვარსქენის ძმისა და მისი თვინიერი მეუღლის სახე, ან „ვინმე სპარსი“, რომელიც მზაკვრული ხერხით ცდილობს შუშანიკის გადმობირებას.

თავის დროზე ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა დეტალურად განიხილა „შუშანიკის წამების“ ისტორიული ფონი და მდიდარი, დღეს აგრერიგად მნიშვნელოვანი, რეალიებით დატვირთული თხრობა. ფაქტიურად, აქ ხომ მე-5 საუკუნის ისტორიული პანორამაა გადაშლილი და წარმოდგენილია უნიკალური ცნობები. მანვე ერთმა პირველთაგანმა შენიშნა იაკობ ხუცესის მიდრეკილება სიმართლისა და თხრობის უშუალობისაკენ, რაც მისი აზრით, ამგვარი თხზულებისათვის იშვიათი მოვლენა იყო. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „წამებაში“ განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის გულწრფელობა, უშუალობა და ბუნებრივობა, რომლითაც იაკობ ხუცესის კილოა გამსჭვალული თავიდან ბოლომდის“.

და აქ კვლავ დგება მთავარი საკითხი: მაინც რით არის განსაკუთრებული იაკობ ხუცესის თხზულება? თავისი დროისათვის რა სიახლეებს შეიცავდა იგი და რა ძირითად ტენდენციებს უყრიდა საფუძვლებს ქართულ მწერლობაში მისი ავტორი? ღრმა ეროვნულ სულისკვეთებასთან ერთად, რომელიც საერთოდ გამოარჩევს ქართულ სასულიერო მწერლობას სხვა ქვეყნების ქრისტიანულ მწერლობათაგან, საქმე ეხება თხზულების მიმართებას ე. წ. ტიპიური სახით მოცემულ აგიოგრაფიულ მწერლობასთან, რაც იმ დრო-

ისათვის მსოფლიო მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა.

ჩემის აზრით, თხზულების მხატვრული ანალიზი, რომელიც მრავალ საკითხს მოიცავს (მათზე გაკვრით ზემოთ უკვე ითქვა) ასეთი მიმართების უმთავრეს ასპექტს თავისთავად ცხადჰყოფს. მიუხედავად იდეური ამოცანების ერთგვარობისა, „შუშანიკის წამება“ აშკარად შორდება აგიოგრაფიული ლიტერატურისათვის ადრევე შემუშავებულ სქემას, რასაც თხზულების ავტორის დიდ მწერლურ ტალანტთან ერთად სხვა მიზეზებიც განაპირობებდა.

როგორც ცნობილია, აგიოგრაფიული ლიტერატურა და, კერძოდ, „მოწამეთა წიგნები“ თავისი ძირითადი კანონებით ბიზანტიურ მწერლობაში აღწევს თავის სრულყოფას. საბოლოო სახით სწორედ აქ შემუშავდა მისთვის დამახასიათებელი მხატვრული მოდელი, რომლის უმთავრესი ნიშანი „მოწამე“ ანუ დიდებით გმირთა მხოლოდ იდეალურ და ამდენად სქემატური სახეებისაკენ ლტოლვაში გამოიხატებოდა.

მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ აღნიშნულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როცა იგი ახალ ნიადაგზე აღმოცენდა, კერძოდ კი, საქართველოში — ქრისტიანული მწერლობის ჩასახვაგანვითარებასთან ერთად.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართული ორიგინალური აგიოგრაფია, მით უფრო ადრეულ ეტაპზე (იქნება არც ის იყოს დავიწყებული, რომ „შუშანიკის წამება“ ყველაზე ადრეული ძეგლია) ზუსტად არ გაჰყოლია გატკეპნილ გზას, არ გაუზიარებია ყველა ის დოგმა, რომელიც ამ დროისათვის მკაცრი მოდელების სახით ყალიბდებოდა ბიზანტიურ მწერლობაში.

სხვათაშორის, საგულისხმოა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული კულტურის ისტორიაში, რომ ქართული სასულიერო მწერლობა და, კერძოდ, აგიოგრაფია ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ ჩანს. ანალოგიური პროცესები დადასტურებულია ქართული ქრისტიანული ხელოვნების სხვა დარგებშიც.

მართლაც, შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურა თუ კედლის მხატვრობა, მიუხედავად გარკვეული მიმართებისა, არაა ზუსტი ანალოგია ბიზანტიური ხელოვნების ამავე დარგებისა. ქართული ხელოვნების ეს თავისებურებანი, რომლებიც დასტურდება ხელოვნების სხვა დარგებშიც, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ თუ პოლიტიკურ ვითარებასთან, რაც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ცხადჰყვეს გიორგი ჩუბინაშვილმა და მისი სკოლის მეცნიერებმა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი თვალსაზრისი ქართულ ხელოვნებაზე, კიდევ უფრო უხვი მასალებით იყო განმტკიცებული როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა მიერ 1977 წელს თბილისში გამართულ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე (მათ შორის აღსანიშნავია შარლ დელვუას მოხსენება თემაზე: ქრისტიანული ეპოქის ბიზანტიისა და საქართველოს არქიტექტურა).

ადრეული ქართული კულტურის ეს თვითმყოფი ხასიათი, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად გარკვეული ტრადიციების არსებობასაც გულისხმობდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენს მეცნიერებაში. იგივე ივანე ჯავახიშვილს, როცა იგი პირველთაგანი აყალიბებდა დღეს ასე გავრცელებულ ჰიპოთეზას „ქართული რენესანსის“ შესახებ, მხედველობიდან არ გამორჩენია ქართულ აგიოგრაფიაში დადასტურებული დემოკრატიული ნაკადი. ამიტომ იყო, რომ იგი „სხვა მიმართულების“ პიროვნებად თვლიდა ქართული კლასიკური აგიოგრაფიული ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს გიორგი მერჩულს და ქართული რენესანსის საფუძვლებს ეროვნული მწერლობის წიაღში ეძებდა.

ქრისტიანობასთან ერთად უფრო ადრეულ კულტურაზე მინიშნება ქართულ სინამდვილეში მშვენივრად არის წარმოჩენილი გერონტი ქიქოძის შემდეგ სიტყვებშიც, როცა იგი ანტიკური ტრადიციების უწყვეტობაზე საუბრობდა ერთ თავის წერილში: „ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ადამიანი რენესანსისა და ჰუმანიზმის ეპოქის სუნთქვას გრძნობს ჩვენს კლასიკურ მწერლობაში. რენესანსისებურია მისი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე, მისი ინტერესი რეალური ქვეყნიერებისადმი და კლასიკური კულტურისადმი, მისი მოუსვენარი მაძიებელი სული“.

სწორედ ასეთი კუთხით უნდა შევხედოთ ჩვენ იაკობ ხუცესის თხზულებასაც, რომელიც სათავეს უდებს ფართო მასშტაბის მხატვრულ პროზას. „შუშანიკის წამება“ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული მხატვრული ქმნილებაა. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ითვალისწინებს მშობლიური კულტურის წიაღში უკვე მანამდე არსებულ მხატვრულ გამოცდილებას. რასაკვირველია, ამ გამოცდილების ათვისებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ავტორის სწორმა ისტორიულმა ალღომ და დიდმა მხატვრულმა ტალანტმა.

* * *

იაკობ ხუცესის თხზულებამ გადმოლახა საუკუნეები და დღესაც საყოველთაო ინტერესს იწვევს. წარსული მემკვიდრეობის ათვისების სწორი ლენინური პოლიტიკის დადასტურება იყო ახლახან ჩატარებული იუბილე, რომელიც მიეძღვნა ქართული კულტურის ამ უძველესი ძეგლის 1 500 წლისთავს, რომელშიც ასეთი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც. ქართული კულტურის მსოფლიო მასშტაბით აღიარების სასიხარულო ფაქტია ისიც, რომ იუნესკომ თავის სამუშაო გეგმაში შეიტანა დებულება, რათა 1978-1982 წლებში ფართოდ აღინიშნოს ქართული მწერლობის 1 500 წლისთავი, რომლის სათავეში დგას იაკობ ხუცესის დიდებული თხზულება „წამებაი წმიდისა დედოფლისა შუშანიკისი“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პირველი სიყვარული

## ჩვენი პედაგოგიური საბჭოს მორიგი სხდომა



მარიამ ბურჭულაძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი.

ოჯახი საზოგადოების შემადგენელი უჯრედი, მისი ორგანული ნაწილია, ოჯახის კეთილდღეობა საზოგადოების კეთილდღეობაა.

კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლებოდა ოჯახური ურთიერთობის ფორმები, მაგრამ მისი საფუძველი ყოველთვის იყო ქალისა და ვაჟის სიყვარულზე დაყრდნობილი კავშირი — ახალი თაობის წარმოქმნისა და ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზანი. ოჯახის საფუძველი სწორედ ქალისა და ვაჟის სიყვარულია და ამიტომ სიყვარულისადმი დამოკიდებულების საკითხი ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ. სიყვარული ქალ-ვაჟის ურთიერთობის უმაღლესი ფორმაა. სიყვარულის საწყისი ბევრად არის დამოკიდებული ურთიერთმოწონებაზე. მიზიდულობის ძალად არსებითად მოწონება უნდა ჩაითვალოს: რაც უფრო მოსწონს, მით უფრო იზიდავს. სიყვარულს მოწონება კვებავს.

მაგრამ მხოლოდ მოწონება როდია სიყვარულის წყარო. არის სხვა უფრო არსებითი წყაროები:

ურთიერთდაფასება, პატივისცემა, ერთგულება. სიყვარული სწორედ ამ ფორმებით ვლინდება.

მეუღლეებს აერთიანებს საერთო სულიერი ინტერესები, საერთო ზნეობრივი იდეალი, საერთო გემოვნება, საერთო მისწრაფებები. ეს სიყვარულის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ცხოვრებაში ზოგჯერ ასე არ ხდება წყვილთა შერჩევა. ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა ვაჟსა თუ ქალს მოეწონება ვინმე, გაიტაცებს ეს უჩვეულო დამათრობელი გრძნობა, ეკარგება ახლოს მისვლის, დაკვირვების, შემოწმების უნარი. ყველაფერი კარგად ეჩვენება, კარგავს წონასწორობას, არაფრად აგდებს მშობლებისა და ახლობლების დარიგებას და, ამ რომანტიკულ ბურუსში გახვეული, ქორწინდება.

გაივლის დრო, იფანტება რომანტიკული ბურუსი, ილვიძებს სალი აზროვნება და გუშინდელი თავდავიწყებული მიჯნური თანდათან სასოწარკვეთილებას ეძლევა, გრძნობს თავის შეცდომას. ასეთ ვითარებაში მხოლოდ ზოგიერთებს აღმოაჩნდებათ უნარი გადაიტანონ სასოწარკვეთილების პერიოდი, შეეგუონ სინამდვილეს და ბოლომდე გასწიონ ოჯახის მძიმე ჭაპანი, რასაც დიდად უწყობს ხელს შვილის გაჩენა. წარმოიშობა ახალი გრძნობა — მშობლიური მოვალეობის გრძნობა. მაგრამ თუ ბავშვი არ გაჩნდა, მაშინ ოჯახი ჯოჯოხეთად იქცევა.

როგორ წარმართოს მუშაობა სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, ოჯახმა, რომ პირველი სიყვარულის გრძნობის წარმოშობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდებში სწორი მიმართულება მივცეთ? ჩვენს სკოლებში ამ მხრივ მეტად სუსტად მუშაობენ. ზოგან, პირიქით, დანაშაულამდეც კი მიდიან. იყო შემთხვევა, როცა კლასის ხელმძღვანელმა მერვე კლასის გოგონას და ბიჭის სიყვარულის ბარათი დაიჭირა, მთელი განგაში ატეხა, საქმე პედსაბჭომდე მიიტანა და მოსწავლე გოგონამ კინაღამ თვითმკვლელობა ჩაიდინა.

ასევე შეიძლება ითქვას მშობლებზე. პირველი სიყვარულის ფაქიზი გრძნობის წარმოშობისას სწორი მიმართულების მიცემის ნაცვლად მამამ გოგონას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა — გოგონამ თავი მოიკლა. მასწავლებელს, მშობელს მოეთხოვებათ ახლოს მივიდნენ ახალგაზრდასთან, მოძებნონ მის გულთან მისასვლელი გზა. ურჩიონ, უთხრან, რომ სიყვარული ამაღლებული გრძნობაა, რომ იგი აფაქიზებს, აკეთილშობილებს ადამიანს. რომ სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ამ გრძნობას შედეგად ოჯახის შექმნა უნდა მოჰყვეს, ცოცხალი მაგალითებით უნდა დაარწმუნონ, რომ სიყვარულმა უნდა წარმოშვას ბეჯითობა, თავდადება, ცოდნის შეძენის აუცილებლობა, რათა მომავალ ოჯახს მყარი საფუძველი ჰქონდეს.

მასწავლებელმა, მშობელმა თავიანთი ტაქტით უნდა მიაღწიონ იმას, რომ ახალგაზრდა გულახდილი იყოს, გაანდოს გულის საიდუმლო და რჩევა ჰკითხოს. ამის მაგალითად მინდა მოვიყვანო ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის ნ. ჭ.-ს გამოცდილება. მასთან მივიდა მეათე კლასის მოსწავლე გოგონა და უთხრა, ზაფხულში, როცა მშობლებთან ერთად ბათუმში ვისვენებდი ჩემი თანატოლი ყმაწვილი გავიცანიო. ისინი დამეგობრდნენ, ერთმანეთი შეუყვარდათ. გავიდა ზაფხული, გოგონა თბილისში დაბრუნდა, იმ იმედით, რომ მომავალ წელს ორივენი სკოლას დაამთავრებდნენ და ყმაწვილი თბილისში ჩამოვიდოდა. მაგრამ მოხდა უბედურება — ყმაწვილი, ბათუმის სკოლის მოსწავლე, ავტომანქანის ავარიაში დაიღუპა, გოგონამ შავები ჩაიცვა. მან მასწავლებელს გაანდო, მშობლები შავი კაბისათვის მტუქსავენ, ოჯახში უსიამოვნება გვაქვსო, მასწავლებელმა მოსწავლეს გაუგო, და დაარიგა შავების ჩაცმა სიყვარულს და პატივისცემას არ გამოხატავს, მის ხსოვნას სხვაგვარად უნდა სცე პატივიო. მაგრამ მშობლები მაინც ინახულა და სთხოვა გოგონასათვის შავების ჩაცმის ნება მიეცათ.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ჩვენი ვალია პირველი სიყვარულის ჩასახვისას ახალგაზრდებს ჩავუნერგოთ ამ ამაღლებული გრძნობის სიდიადე, მისი მნიშვნელობა, ფაქიზად შენახვის უნარი, როგორც მომავალი ოჯახის მტკიცე საფუძველი.



## მ. მესხიაშვილი,

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

მოზარდობისა და ჭაბუკობის პერიოდში ადამიანისათვის ისეთი დრო დგება, როცა გარესამყარო განსაკუთრებულად ლამაზი და მიმზიდველი ხდება. ეს არის დრო პირველი სიყვარულისა. ჩნდება ახალი ოცნებები და იდეები. ი. ტურგენევი პირველ სიყვარულს რევოლუციას ადარებს, როცა „ერთ წამში ირღვევა, ინგრევა მანამდე ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი ცხოვრება, როცა ახალგაზრდობა დგას ბარიკადებზე, რომელთა თავზე მათი დროშა ამაყად ფრიალებს და მიუხედავად იმისა — შემდეგ რა ელით მათ, სიკვდილი თუ ახალი ცხოვრება, მაინც ყველა მათ უგზავნის აღფრთოვანებულ სალამს“.

სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს, აიძულებს თავისი ამორჩეულისათვის რაც შეიძლება მეტი კარგი გააკეთოს და თვითონაც გახდეს უკეთესი, გახდეს სიყვარულის ღირსი. მწერალ მ. პრიშვინის ერთ-ერთ მოთხრობაში შეყვარებული ასე მიმართავს მეორეს: „ის ადამიანი, რომელიც ჩემში გიყვარს, რასაკვირველია, ჩემზე უკეთესია; მე ასეთი არა ვარ, მაგრამ შენ შემიყვარე და მე ვეცდები საკუთარ თავზე უკეთესი გავხდე“. ასეთია სიყვარულის ამამაღლებელი ძალა...

პირველ გატაცებას, პირველ სიყვარულს ჯერ კიდევ მოზარდები ავლენენ. თუ ბავშვები სწორად იზრდებიან, მაშინ ბიჭები ყოველთვის მეგობრობენ გოგონებთან... და მაინც 11-13 წლის ასაკში მათ შორის ერთგვარი გაუცხოება შეიმჩნევა. ბიჭები მკვეხარები ხდებიან და თავიანთი ძალის დამტკიცებას ცდილობენ, ზოგჯერ შეიძულებენ კიდეც გოგონებს; გოგონები კი უკვე გაურბიან „უზრდელ“, უხეშ და ხმაურიან ბიჭებს და ამაყობენ უფრო მოზრდილებისათვის დამახასიათებელი ინტერესებით.

მომწიფებასთან ერთად იცვლება მათი ურთიერთდამოკიდებულება, ქალიშვილებსა და ვაჟებს შორის თანდათანობით მყარდება ახალი და უკვე ბავშვობის ასაკს გადაცილებულთათვის შესაფერისი მეგობრობა. ამ მეგობრობაში ხშირად ჩანს სიყვარულიც, ვაჟის მხრივ ვაჟკაცური მზრუნველობა და ქალიშვილების სინაზე, მორცხვობა, კეკლუცობა. ეს ხელს არ უშლის მათ ერთად სწავლას ან მუშაობას. აი, ასეთი ჭაბუკური მეგობრობიდან ხშირად აღმოცენდება სიყვარული.

ამ სრულიად კანონზომიერ, ბუნებრივ ფსიქოფიზიოლოგიური ძვრების პირობებში მეორე სქესის მიმართ გარკვეული ლტოლვის გამოვლინებისას მოზარდი ხშირად ვერ ერკვევა თავის მდგომარეობაში, განცდებში და ერთგვარად დეზორიენტირებულია, დაბნეულია. აი, სწორედ ამ ეტაპზეა საჭირო უფროსების რაციონალური დახმარება, ტაქტით და სიფაქიზით მოზარდის გრძნობების სწორი წარმართვა, რათა ახალგაზრდა გაერკვეს თავის განცდებში, გაერკვეს იმაში, ეს მოზღვავებული პრიმიტიული ლტოლვათა წარმავალი დაკმაყოფილების სურვილია (შესაძლებელია პირველ შემხვედრთანაც კი) თუ ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლინება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სიყვარული, და განსაკუთრებით ჭაბუკური სიყვარული, მეტად მგრძნობიარეა უცხო, მითუმეტეს უფროსების უხეში, უტაქტო ჩარევის, გაუბრალოების ცდებისა და ცინიზმის მიმართ.

ჭაბუკების პირველ სიყვარულში, ამ უნატიფეს გრძნობებში უფროსების მოუფიქრებელი ჩარევა ზოგჯერ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან უტაქტობა გარკვეულად კოდავს ახალგაზრდების გულს, შეურაცხყოფას აყენებს უმშვენიერესი გრძნობის პირველ ყლორტებს, აკარგვინებს მათ ნდობას ხალხის მიმართ და, რაც მთავარია,— ხშირად ახალგაზრდებს მოუშუშებელ „სულიერ ჭრილობებს“ აყენებს.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ვინაიდან თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალური სიმწიფე ჩამორჩება მათს ფსიქოლოგიურ მომწიფებას, ახალგაზრდების პირად ცხოვრებაში უფროსების გარკვეული ჩარევა აუცილებლად მიგვაჩნია... მთავარია ჩარევის ფორმა, მეთოდი და ჩარევის ხარისხი.

იმ ოჯახებში, სადაც დამყარებულია მოზარდის (ჭაბუკის) მიმართ ზედმეტი მზრუნველობა და გადაჭარბებული მეურვეობა, მოზარდის აქტიობის დათრგუნვა, დამოუკიდებლობის შეზღუდვა და სადაც მოზარდის ყოველი ნაბიჯი განსაზღვრულია უფროსების დიქტატით, მოზარდის ზემოთაღნიშნულ ლტოლვის და სიყვარულის პირველ გამოვლინებას ხშირად უხეშად ახშობენ. ასეთი დამოკიდებულებით სიყვარულის გრძნობა არა თუ ქრება, ხშირად ფარულად ძლიერდება კიდეც. ხსენებულ ოჯახურ პირობებში მოზარდებს ხშირად აღმოუცენდებათ სხვადასხვა სახის ავადმყოფური მოვლენები, უფრო მეტად ნევროზული მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, — ე. წ. ფსიქოსომატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი აშლილობა (შინაგანი ორგანოების და სისტემების ფუნქციური დარღვევა, რაც უმეტესად მყარ ხასიათს იღებს). ვითარდება პათოქარაქტეროლოგიური რეაქციები ე. წ. პროტესტის ან უარყოფის რეაქციების სახით. რეაქციის ორივე ფორმა ძირითადად პიროვნების ავადმყოფური გამოვლინებაა და უპირატესად ფსიქოპათიის მაგვარ ქცევებით მჟღავნდება. ზოგ შემთხვევაში ვითარდება, როგორც ჭეშმარიტი ნევროზული მდგომარეობა (უმეტესად დეპრესიული და ისტერიული ნევროზების ფორმით), ისე ე. წ. ფსიქოსომატური აშლილობები (შინაგანი ორგანოების და სისტემების ფუნქციური დარღვევა, რაც ხშირად მყარ ხასიათს იღებს).

არის შემთხვევები, როცა მოზარდის და მისი განცდების მიმართ ოჯახში სუფევს სრული განურჩევლობა და უყურადღებობა. ასეთ პირობებში ხშირად გვხვდებიან პედაგოგიურად და სოციალურად ხელმიშვებული ბავშვები. აღნიშნულ კატეგორიის მოზარდთა (ჭაბუკთა) პირველი სიყვარულის გამოვლინება ხშირად მოკლებულია განცდათა სიღრმეს, სიყვარულის სოციალურ შინაარსს და უპირატესად მჟღავნდება პრიმიტიულ-ბიოლოგიურ დონეზე. ასეთი მოზარდების სიყვარული მყარი არ არის, ცვალებადია, თუმცა აღნიშნულ პირობებშიაც გვხვდებიან ჭეშმარიტი და ღრმა განცდების მქონენი.

ზოგიერთ შემთხვევაში მოზარდი ქალიშვილები გატაცებული არიან მათზე უფროსი ასაკის მამაკაცით, — ხელოვნების, სპორტის ან სხვა დარგებში მომუშავეთი. მათ ჰყავთ თავიანთი კერპი, საყვარელი, სათაყვანებელი პიროვნება. ასეთი გატაცება გარკვეულ ფარგლებში გასაგებია და არ უნდა ჩაითვალოს პათოლოგიად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გატაცება, ე. წ. დისტანციური პირველი სიყვარული, ზედირებულლოვანი ან ბოდვითი შინაარსისაა, როცა ქალიშვილის მთელი ცხოვრება, მოქმედება, ყოველი საათი, დღე მიმართულია ამ პიროვნებასთან შეხვედრის, დალაპარაკების, თუნდაც დანახვის ცდისადმი. ასეთი ახალგაზრდები მშობლების ან საერთოდ უფროსების სამართლიან შენიშვნაზე შეუსაბამო აფექტურ რეაქციებს იძლევიან. მათ თანდათანობით უმრუდდებათ თავიანთი ასაკისათვის დამახასიათებელი ცხოვრების გეზი. ეს კი ავადმყოფური გამოვლინებაა და საჭიროებს სპეციალისტების ჩარევას.

გვხვდება შემთხვევები, როცა პიროვნების სუბიექტური მოთხოვნილებები, რაც ჩვეულებრივად სურვილებით, ლტოლვებით, დამოკიდებულებებით, მისწრაფებებით ვლინდება ხარისხობრივად იცვლება. ასეთ ვითარებაში შეიძლება დამახინჯდეს ქცევის აქტები. აღნიშნულ მექანიზმებით შეიძლება განვითარდეს პიროვნებათა შორის დამოკიდებულების და, კერძოდ, „სიყვარულის ემოციის“ შეცვლა. ინტერპერსონალური დამოკიდებულების ასეთი სახეცვლილება ხშირად იღებს ავადმყოფურ სტრუქტურას და ვლინდება როგორც სიყვარულის ბოდვა (ეროტომანია). აღნიშნულ შემთხვევებში, ქალიშვილი ან ვაჟი დარწმუნებულია, რომ ის უყვარს ერთ-ერთ პიროვნებას (რომელსაც ხშირად არც კი იცნობს და არც შეხვედრია), რომ ის მას მფარველობს, ჰპირდება დაქორწინებას, ბედნიერებას და სხვ. ავადმყოფური პირველი სიყვარულის ეს ფორმა გადის სამ სტადიას: იმედის, სასოწარკვეთილების და გაბოროტების სტადიას. მეორე სტადიაში ხშირია თავის მოკვლის ცდები, მესამეში — პირიქით, გვხვდება შურისძიება და აგრესია იმ „შეყვარებული“ მამაკაცის ან ქალის მიმართ. საინტერესოა, რომ ზოგჯერ მშობლები დიდხანს დარწმუნებული არიან შვილის ბოდვითი პროდუქციების რეალობაში. აღნიშნული ავადმყოფური მდგომარეობა უფრო ხშირად ისტერიულ ფსიქოპათებს უვითარდებათ. ზოგჯერ ასეთი მოვლენებით იწყება უმძიმესი სულით ავადმყოფობა — შიზოფრენია.

მშობლებმა და პედაგოგებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ნაადრევი მომწიფების, ე. წ. აქსელერაციის მოვლენები. ასეთ მოზარდებში გვხვდება გამოხატული დისოციაცია მოზარდის ფიზიკურ (სქესობრივ) და ინტელექტუალურ და სოციალურ სიმწიფეს შორის. ასეთ მოზარდებს უფრო ადრე უჩნდებათ სექსუალური ლტოლვა და მოპირდაპირე სქესის პიროვნებასთან დაახლოების სურვილი. აღნიშნულ პირობებში ხშირია სექსუალური შინაარსის ფანტაზიები. ცრუ მოგონებები, შინიდან გაქცევა და ზოგჯერ პერვერზიის შემთხვევებიც.

როგორც ცნობილია, ქალიშვილები ფიზიკურად უფრო ადრე მწიფდებიან, ვიდრე ვაჟები. ქალიშვილებში ბევრად ადრე ფორმდება ქალური საწყისი, ვიდრე ჭაბუკებში— მამაკაცური. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას, რომ გარკვეული ლტოლვები ვაჟებს უფრო ადრე ულვიძდებათ, და უვლინდებათ მნიშვნელოვანი სიძლიერით. აქედან გამომდინარე, საჭიროა ვაჟებს ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა და ცოდნა თავიანთი ლტოლვების აღნიშნულ თავისებურებათა შესახებ, რათა კონტროლი გაუწიონ გამოვლინების ხარისხს და არ მიაყენონ ფსიქიკური ტრამვა ქალიშვილებს. ასეთი გზით ბევრჯერ ავიცილებთ რთულ რეაქციებსა და ფსიქონევრულ აშლილობებს.

ვაჟებმა უნდა იცოდნენ, რომ ქალიშვილი ფიზიკური აგებულებით მაინც უფრო სუსტია, რომ ის უფრო მგრძნობიარეა და ემოციური, რომ ქალიშვილის ორგანიზმი და ფსიქიკა განსაკუთრებულ მზრუნველ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ვაჟებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი სიყვარული გამორიცხავს ყოველგვარ ხელყოფას ქალიშვილის მორცხვობის განცდისა, გამორიცხავს ქალიშვილების ღირსების ყოველგვარ შელახვას და უტაქტო მოქმედებას.

ახალგაზრდების სიყვარულში გულითადი და სულიერი დამოკიდებულების გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზიოლოგიური მხარე, სამწუხაროდ, ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულების ამ მხარეს მეტად აუბრალოებენ ანდა განიხილავენ იმდენად დამამცირებლად და პრიმიტიულად, რომ მასზე ლაპარაკს სამარცხვინოდ თვლიან.



სქესთა შორის დამოკიდებულება ყოველი ადამიანის და, აქედან, — საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

აუცილებლად მიგვაჩნია მოზარდთა სექსუალური აღზრდის, სექსუალური ჰიგიენის, ქალ-ვაჟთა ურთიერთდამოკიდებულების, პირველი სიყვარულის და ოჯახის შექმნის საკითხებს სკოლებში სათანადო ყურადღება მიექცეს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ვერ ერკვევა სწორად ზოგიერთი მოზარდი ამ ასაკისათვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ პროცესებში და ელემენტარულ სექსუალურ საკითხებში, მოვიყვან ერთ მაგალითს:

ჩვენთან საკონსულტაციოდ მოიყვანეს გოგონა, IX კლასის მოსწავლე, რომელსაც გამოხატული ნევროზი ჰქონდა, ე. წ. მოლოდინის ნევროზი. ავადმყოფური მოვლენები გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ამხანაგის დაბადების დღეს, ვახშამზე, ერთ-ერთმა ამხანაგმა ვაჟმა, როგორც ავადმყოფმა გვითხრა, არაამხანაგურად აკოცა და გადაეხვია. ამის შემდეგ გოგონა საგონებელში ჩავარდა: ხომ არ დაორსულდა და ბავშვი ხომ არ გაუჩნდება. გოგონა სახლში ჩაიკეტა, სწავლას თავი დაანება, მთელი დღეები მხოლოდ დაორსულებაზე ფიქრობდა, უფროს დას და დედას გამუდმებით ეკითხებოდა, ხომ არაფერს მატყობთო. დაკარგა ინტერესი ყველაფრისადმი, დანაღვლიანდა, მთელი ღამეები არ ეძინა, ერთთავად ელოდებოდა დაორსულების რაიმე ნიშნის გამოჩენას.

გოგონას ავადმყოფობა არ განუვითარდებოდა, დედისაგან ან უფროსი დისაგან რომ ელემენტარული ცოდნა მიეღო, ან სკოლაში ეზრუნათ უფროსი კლასების მოსწავლეთა სექსუალური აღზრდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნათელა ურუშაძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

ჩვენი მსჯელობის თემა ემოციას ეხება, თანაც უკიდურესად სუბიექტურს, ინდივიდუალურს, რაც, მაშასადამე, მსჯელობას ყველაზე ნაკლებ ექვემდებარება.

როგორ მოვიქცეთ? რიგით რომ პირველად ეწვევა ადამიანს, იმ გრძნობაზეა ლაპარაკი, თუ არსით რომ პირველია? არსებობს ამის განმსაზღვრელი რაიმე ნიშანდობლიობა ან საზომი? ვის შეუძლია განსაზღვროს: რიგით პირველი, საკუთარი ან სხვისი სიყვარული არსითაც პირველია?

საუბარში მონაწილე ადამიანები ისეთ ასაკში არიან, რომ პირველი სიყვარულის შესახებ მხოლოდ წარსულ დროში შეუძლიათ ილაპარაკონ. მიზანი კი ის არის, რომ საკუთარი გამოცდილება მოვიშველიოთ სხვათა დახახმარებლად, უცნობი ახალგაზრდების დასახმარებლად, ვინც წერილობით მოძართავს ჟურნალს, ვინც გულისტკენას გამოხატავს ამ უმშვენიერესი გრძნობის მიმართ უფროსთა უხეში დამოკიდებულების გამო. ეს ახალგაზრდები არ ესწრებიან ჩვენს საუბარს. ჩვენ ვერ ვხედავთ ერთმანეთს. ასეთი სიშორეც ძნელად გადასალახავი სირთულეა. როგორ გადავლახოთ იგი?

ყველა საუბარს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ის გულწრფელია და მიზანდასახული. ამიტომაც თავიდანვე გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ამ კითხვებზე პასუხები ჯერჯერობით არ გამაჩნია. მაგრამ ამავე დროს ასევე გულწრფელად მჯერა, რომ სიყვარული პირველიც და მისი მომდევნოც — — უდიდესი ბედნიერებაა ყველა შემთხვევაში. თუ სხვა ვინმე შენზე მეტად გიყვარს (სიყვარული კი ამას ნიშნავს), დაგიძლევია ეგოიზმი. ეს ხომ უდიდესი ზნეობრივი გამარჯვებაა...

მჯერა, რომ სიყვარული სულიერ ძალებს მატებს ადამიანს, შეუძლებელს შეაძლებინებს. შინაგან ძალთა ასეთი მობილიზება მისთვისაც სასიკეთოა და სხვისთვისაც, ვინაიდან ასეთი ენერგია კეთილ საქმედ უნდა გადმოიღვაროს.

სიყვარულით ტანჯვაც მშვენიერია, იმიტომ, რომ ტანჯვა სულიერი ტკივილია, პიროვნებას ისიც ამდიდრებს, რადგან ცხოვრებაზე დააფიქრებს ხოლმე, დაანახვებს იმას, რაც ადრე არც კი შეუნიშნავს, ახალგაზრდობაში კი უმთავრესად, მაინც სიყვარულია ტანჯვის მომგვრელი...

აი ამიტომ მიმაჩნია, რომ თუკი ნორჩ არსებაში სიყვარული ან მისი ჩანასახი შევნიშნეთ, ძალიან ფრთხილად, ყოველი ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური ბუნების გათვალისწინებით, ხელი უნდა შევუწყოთ მის შენარჩუნებას.



**მ. თაბორიძე,**

პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მხატვრული აღზრდის სექტორის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ჩვენი საუბარი მეტად საინტერესო, პიროვნების ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე პრობლემას — პირველ სიყვარულს ეხება.

როდის ეწვევა მოზარდს ეს გრძნობა, რა გზით უნდა მოხდეს ამ გრძნობის პედაგოგიური მართვა ან შეიძლება კი საერთოდ დავისახოთ ამგვარი ამოცანა?

ბავშვი უმეტესად მშობელსაც არ უმხელს გულისნადებს, სიყვარულზე საუბარს ერიდება და ამიტომ ბევრი კითხვა [illegible] უპასუხო რჩება, ან ისეთ ინფორმაციას იღებს გარეშე პირთაგან, რომელიც არ არის სასურველი. განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება ამ დროს მშობელს. მცირე უტაქტობაც საკმარისია, რომ მოზარდის შინაგანი სამყარო დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, დაიხუროს მშობლებისათვის და ბავშვი საკუთარ თავთან მარტო აღმოჩნდეს.

ინტიმურ სამყაროში ჩაურევლად მშობელი უნდა ცდილობდეს იყოს შვილის მეგობარი. პიროვნება, რომელიც მაღალღირებულებათა მიმართ აქტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, უმეტესად სიყვარულშიც ფაქიზია და ოჯახს გონივრულად აწყობს.

ცნობილი პროფესორი ი. კონი ამბობდა: „ბავშვის გრძნობათა აღზრდა არანაკლებ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ამოცანაა, ვიდრე ადამიანის შრომისთვის მომზადება“.

ბავშვის მთლიანი გრძნობათა სამყაროს გამდიდრება, ისეთი სულიერი მოთხოვნილებების განვითარება, რომელიც მის ცხოვრებას მომავალში საინტერესოდ წარმართავს, მშობლის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამგვარად, შეიძლება სიყვარულზე ხშირად არ ვესაუბროთ შვილს, მაგრამ პიროვნების მრავალმხრივი განვითარებით ხელი შევუწყოთ ამ გრძნობის სწორად წარმართვას.

სიყვარულის გრძნობას, ისევე როგორც სხვა გრძნობებს, აღზრდა სჭირდება და ამ მიმართულებით განსაკუთრებულია სკოლის, პედაგოგის როლი. სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება, რომ საგნები, რომლებიც სკოლაში ისწავლება, მარტო ცოდნის შეძენის საშუალება კი არ არის, არამედ ბავშვის სულიერი მომწიფების მძლავრი იარაღია, სხვადასხვა მოთხოვნილებათა განვითარებას რომ აძლევს საწყისს. ზოგჯერ მოსწავლის შინაგანი სამყარო, მოთხოვნილებები და გრძნობები მასწავლებლისათვის დაფარული რჩება; უხეში ჩარევა ბავშვის პირად ცხოვრებაში ან სრული უყურადღებობა აღმზრდელს მოსწავლისგან თიშავს და ასეთ შემთხვევაში სკოლა ვერ ეხმარება ახალგაზრდას მისთვის კრიტიკულ, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. პედაგოგის ტაქტსა და უნარზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს უფროს ასაკში წარმოშობილი გრძნობა პირველი სიყვარულისა.

განუზომლად დიდია ხელოვნების როლი მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში, რომლის მიზანია პიროვნების ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება გარემოს მიმართ.

ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს მშვენიერების აღქმის უნარს. მშვენიერების წყაროდ უნდა ვაქციოთ ყოველი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ლიტერატურის სასკოლო კურსით ისწავლება, გავხადოთ იგი მოსწავლის ფიქრის საგნად, საკუთარი სამყაროს შეცნობის საშუალებად.

საბედნიეროდ, ქართული ლიტერატურის ნიმუშებში უხვად მოგვეპოვება ისეთი მასალა, რომელიც გვიხატავს სიყვარულის ამამაღლებელ გრძნობას, თუმცა ნაწარმოები სხვა თემაზეა დაწერილი. ამას დანახვა, პედაგოგიური ჩარევა სჭირდება და არა ნაწარმოების მშრალი, ერთფეროვანი, ტრაფარეტული ანალიზი, რასაც იძლევა სასკოლო სახელმძღვანელო. ვიყოთ გულახდილნი და დავფიქრდეთ, თუ რა სულიერი საზრდო შეიძლება მიიღოს ბავშვმა მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან, რომლებშიც მოცემულია ქრესტომათიაში შეტანილი ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი. სოციოლოგიზმით გატაცების დაძლევა, რაც საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, სკოლის მიღმა დარჩა.

სასკოლო სახელმძღვანელოში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიჯნურობის მოტივს „ვეფხისტყაოსანში“, არსად, არც ერთ ქართველი მწერლის შემოქმედების განხილვისას არ არის წარმოდგენილი სიყვარულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა. ასე ისწავლება ალ. ჭავჭავაძის პოეზია, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, გალაკტიონის თუ გრიშაშვილის ლირიკა. სახელმძღვანელო წიგნი მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს მწერლის შემოქმედების გაგებაში, სხვაგვარად მას თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს. მასში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სიყვარულის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების სწორ ესთეტიკურ ანალიზს. მაშინ სიყვარული აკრძალულ გრძნობად კი არ მოეჩვენება ბავშვს, არამედ ისეთ ამამაღლებელ და კეთილშობილურ გრძნობად. ურომლისოდაც, დიდი ქართველი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „... მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“.

მაგრამ ყველაფერს ვერც სახელმძღვანელოს დავაბრალებთ. ლიტერატურა კარგი მასწავლებლის ხელში უდიდეს აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებს, სულიერად აფაქიზებს და ამაღლებს მოზარდის ჯერ კიდევ გამოუცდელ შინაგან სამყაროს. პედაგოგის ოსტატობაზე დიდად არის დამოკიდებული, რა მიმართულებით წარმართავს ცალკეული ნაწარმოების ანალიზს, რას დაანახვებს მასში მოსწავლეს.

მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი მოქმედი პირი გიორგი სიყვარულმა არჩილის კარზე მოჯამაგირედ მიიყვანა. ტრაგიკულად დასრულდა ჭაბუკის სიცოცხლე და მხოლოდ სიკვდილის წინ აუწყა იქ მყოფთ, რა ძლიერი და ამაღლებული გრძნობით უყვარდა კესო. ყველა გააოცა ამ აღსარებამ. დედას კი თითქოს არ ეუცხოვა ეს ამბავი. შვილი არ უმხელს ოთარაანთ ქვრივს გულის წადილს, დედა კი ხვდება და წინააღმდეგობას არ უწევს, წინ არ აღუდგება შვილის გადაწყვეტილებას — მოჯამაგირედ დაუდგეს არჩილს. განა არაფერს ეუბნება ეს მოსწავლეს, მომავალ დედას, რომელმაც აქედანვე, სასკოლო მერხიდანვე უნდა იგრძნოს მაღალი დანიშნულება დედობისა, მისი მოვალეობისა, უწინარეს ყოვლისა, იყოს ფაქიზი და გულისყურიანი შვილის გრძნობების მიმართ. დედაშვილობის პრობლემა „ოთარაანთ ქვრივში“ ძირითადად გიორგის სიყვარულის გარშემო ტრიალებს.

სულ სხვა შუქი ეფინება სიყვარულს კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“, რომელიც X კლასში ისწავლება. შორენას და კონსტანტინე არსაკიძის ტრფობა ძლიერი და რომანტიკულია, მაგრამ პირადულზე მაღლა დგება ხელოვნება, სვეტიცხოვლის ამშენებელს სულზე მეტად შეჰყვარებია საკუთარი ხელოვნება. „განა ქვაა სვეტიცხოველი, ქვაყოფილია იგი ამჟამად, უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მომაკვდავის სული“. ხელოვნება, დაპირისპირებული ყველაფერ ამქვეყნიურთან, თვით სიყვარულის გრძნობასაც სხვა სამოსელში ახვევს, განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს, ამაღლებულს, მშვენიერს ხდის მას მკითხველის თვალში.

ამგვარი ადგილები ქართული ლიტერატურის სასკოლო კურსში უხვად მოიძებნება. საჭიროა არ მოვერიდოთ სიყვარულის ასპექტით ნაწარმოების ანალიზს, არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ძირითადი თემის გაშუქებით და მოსწავლეებს ისეთი მომენტებიც გავაცნოთ, რომლებშიც მჟღავნდება სიყვარულის ამამაღლებელი გრძნობა, მისი იდეალი.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ასე სწორხაზოვნად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე წარიმართება ბავშვის აღზრდა, განვითარდება მაღალი გრძნობა სიყვარულისა, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ახალგაზრდობის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა გათვალისწინება, ხელოვნებაში სიყვარულის ამამაღლებელი გრძნობის გამოვლენა ამდიდრებს პიროვნების სულიერ სამყაროს და იმის საწინდარიც არის, რომ ბავშვობის ასაკში აღძრული ეს გრძნობა გახდეს მომავალი მყარი ოჯახის ფუძე და საძირკველი.



მარგო მარგალიტაძე-ურუშაძე,

მშობელი,
თბილისის 126-ე საშუალო სკოლა.

დედამ ფრთხილად უნდა ადევნოს თვალი მოზარდის სულიერ განწყობილებას. ისეთი ფაქიზი გრძნობა, როგორიც სიყვარულია, ბავშვებში სწორად უნდა აღიზარდოს. როცა ბავშვი სიყვარულის ასაკს მიაღწევს, უფრო მეტი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო. ამ დროს ბავშვი ბევრს ფიქრობს, ღელავს, არ იცის როგორ მოიქცეს. აი სწორედ აქ არის საჭირო დედის სათუთი, მეგობრული მიდგომა შვილისადმი, სისტემატური დაკვირვება და, გონივრული დარიგება. მაგრამ დედამ ფრთხილად უნდა იმოქმედოს; სიყვარული ნაზი და ფაქიზი გრძნობაა. ამ დროს აჩქარებული მოქმედება საზიანოა. როცა ბავშვს სიყვარულის გრძნობა გაუჩნდება, იგი აღგზნებულია, უხეში ხდება, ზოგჯერ კი, პირიქით. ბავშვს ხშირად 12-13 წლის ასაკში ეწვევა პირველი სიყვარული. დედამ ისე უნდა იმოქმედოს, რომ ხაზგასმით არ გაამახვილოს ყურადღება მისადმი. სამწუხაროდ, ზოგი დედა ნაადრევად იწყებს ღელვას, აგრესიულია შვილისადმი, რაც ბავშვზე ცუდად მოქმედებს.

მე, როგორც მშობელი, ვფიქრობ, რომ ამ ასაკში ბავშვებს სწორად არ ესმით ცნება— სიყვარული. ამიტომ მშობელი კი არ უნდა ელოდოს როდის ჩაესახება მის შვილს ეს გრძნობა, არამედ თანდათანობით გააგებინოს მისი მნიშვნელობა და ასწავლოს, თუ როგორ მოიქცეს საჭირო შემთხვევაში.

საერთოდ, უმრავლესად სიყვარულის შედეგი ქორწინება და ოჯახის შექმნაა. ამიტომაც ბავშვის, მოზარდის გათვითცნობიერების საქმეში დედის როლი განუსაზღვრელია.

შვილს 12-13 წლის ასაკიდან უნდა ვასწავლოთ ადამიანის შეცნობა, მან აქედანვე უნდა იცოდეს, ადამიანის რა თვისებებია დასაფასებელი: განათლება, ცოდნის ჰორიზონტი, ჰუმანურობა, ზრდილობა, თავაზიანობა, სიკოხტავე, სისუფთავე...

მოზარდს შესაძლოა ერთის ნახვით შეუყვარდეს კარგი გარეგნობის ახალგაზრდა, საბოლოოდ იქორწინოს კიდეც მასთან, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე გამოდგეს, იმ მიზეზით, რომ კარგი გარეგნობის ახალგაზრდას ბევრი ცუდი თვისება აღმოაჩნდეს, რომლის მოთმენა თანდათანობით ძნელი ხდება და ოჯახიც ინგრევა.

ხშირად, როცა მოზარდს სიყვარული ეწვევა, მხოლოდ კარგ ჩაცმაზე ფიქრობს, გაკვეთილებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს, უხეშობს. ასეთ შემთხვევებში მშობელსაც და მასწავლებელსაც უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ. საჭიროა ახალგაზრდას განვუმარტოთ, რომ მარტო კარგი გარეგნობით ვერ მოიგებს გოგონას ან ვაჟის გულს, უნდა მოვაგონოთ რუსთაველის უკვდავი სიტყვები:

„სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი
საგმირონია“.

მოსწავლის გმირობა კი, მოგეხსენებათ, კარგი სწავლაა.

სიყვარულის აკრძალვა და დევნა სწორი არ არის. ახალგაზრდები ამ დროს ძალიან თავმოყვარენი და ამაყნი ხდებიან, უბრალო შენიშვნასაც კი არ კადრულობენ და ცდილობენ მასწავლებლისაგან და საერთოდ უფროსებისაგან საყვედური არ დაიმსახურონ. გაკვეთილებსაც უფრო მონდომებით ამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რ. ირემაშვილი,

პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი.

ცნობილი ფორმულაა: თამრიკო+გია=სიყვარულს. მისი შედგენა და გამოყვანა არ უჭირთ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე კლასის მოსწავლეებს. დაინახავენ, თამრიკო და გია ერთად რომ საუბრობდნენ, გიამ თამრიკოს გარდერობიდან პალტო რომ გამოუტანა და... ფორმულაც მიღებულია! როგორ უნდა თამრიკოს გიასთან ერთად მერხზე დაჯდომა, მაგრამ... ფიქრობენ, წვალობენ თამრიკო, გია, პაატა, ზაზა, ნინიკო. მოდი ჩვენც გავყვეთ მათი ფიქრის გზას.

ამ ასაკს გარდამავალ ასაკს უწოდებენ. მას ქარიშხალს ადრიან. იგი 11-12 წლიდან იწყება და 15-16 წლის ასაკში მთავრდება. ეს ბავშვობის მდგომარეობიდან მოწიფულობის მდგომარეობაში გადასვლის პერიოდია, რაც უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს. სქესობრივ მომწიფებას უჩვეულო სხეულებრივი და სულიერი ძვრები მოსდევს, რაც აგზნებით, მოუსვენრობით, უკმაყოფილებითა და ფიზიკური და სულიერი ძალების მოქანცულობით ვლინდება. ეს გარემოება გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის ქცევაზე, მის გარემო სინამდვილესთან ურთიერთობაზე.

მოზარდის ემოციურ განწყობას განსაკუთრებულ დაღს ასვამს სხეულის კონსტრუქციაში მომხდარი ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებები. ჩნდება მომწიფების პირველი ნიშნები, რასაც თან მოჰყვება სხეულის პროპორციის დარღვევა. იზრდება კიდურები, სხეული კი ისევ უცვლელ მდგომარეობას ინარჩუნებს. ამის შედეგად მოზარდის მოძრაობა კარგავს ელასტიკურობას, უხეშდება, რაც მას ხშირად აუხერხულებს და აღიზიანებს. იცვლება სახეც: იზრდება ცხვირი, ყურები, ნიკაპი, ირღვევა სახის ნაწილების პროპორცია, იკარგება სათნო, სასიამოვნო გამომეტყველება.

თავისებურად იტვირთება მოზარდის ემოციური ცხოვრება. მომწიფების პროცესთან დაკავშირებული ემოციური განცდები მის ფსიქიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს — იღვიძებს პირველი სიყვარული. მას ესთეტიკურ სიყვარულს უწოდებენ, რადგან გამორიცხულია სხეულებრივი ტკბობისაკენ, ან კიდევ სხეულებრივი დაუფლებისაკენ მისწრაფება.

პირველი სიყვარული მხოლოდ ესთეტიკურ მხარეს მოიცავს და ამიტომ იგი ვერ ამოწურავს სიყვარულის გრძნობას. სიყვარული უფრო მრავალწახნაგოვანია, ვიდრე პირველი სიყვარული. მაგრამ პირველი სიყვარული იმიტომ არის კეთილსურნელოვანი — ამბობდა გერცენი, — რომ იგი ივიწყებს სქესთა განსხვავებას, რომ იგი ვნებიანი მეგობრობაა. ეს პირველი სიყვარული — მეგობრობა სწორედ წინათგრძნობაა, ცისკარი სიყვარულისა, ფსიქოლოგიური მომზადება დიდი, ნამდვილი სიყვარულისთვის.



ალექსანდრა გუჯაბიძე,

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კაბინეტის გამგე.

პირველი სიყვარულის გრძნობის გაღვიძებაზე დაკვირვების, მისი სწორი წარმართვის საშუალება ყველაზე მეტად გვაქვს — მშობლებსა და მასწავლებლებს და, თუ ჩვენს აღსაზრდელებს ჩვენი სახით ჭეშმარიტი აღმზრდელები ჰყავთ, ისინი ნდობას გვიცხადებენ, დამრიგებლის, მრჩევლის როლს გვაკისრებენ ხოლმე.

შარშან ერთ ჩემს მეგობარ პედაგოგ ქალს ასეთი შემთხვევა ჰქონდა: მეშვიდეკლასელი ბიჭისა და გოგონას ურთიერთობაში ერთგვარი დაძაბულობა შეამჩნია. ბავშვებს შორის აღარ იყო წინანდებური უშუალო, გულღია დამოკიდებულება. გოგონას უფრო გულცივსა და წარბშეკრულს ხედავდა, ბიჭს — შეწუხებულს, გაღიზიანებულს (როგორც საერთოდ ამ ასაკში ხდება).

გულისხმიერმა პედაგოგმა ისიც შეამჩნია, რომ ბიჭმა სწავლას უკლო, დასვენების წუთებში ამხანაგებისაგან განდგომილად ყოფნა ირჩია. პედაგოგს არაფერი უკითხავს მისთვის, ჩვეული ტაქტითა და გულის სითბოთი მან უფრო მიიყვავილა ბიჭი და ერთხელ, კერძო საუბარში უთხრა:

„გახსოვდეს, მე შენთვის მარტო მასწავლებელი კი არა, ერთგული მეგობარიც ვარ. ჩვენი მეგობრობა სავსებით ბუნებრივია, თუმცა ასაკითა და გამოცდილებით შორი-შორს ვდგევართ. შენი სიხარული ჩემი სიხარულია, შენი წუხილი — ჩემი სატკივარი. თუ გაგიჭირდეს, თუ ვერავის უთხრა გულისნადები, მოდი ჩემთან, მიამბე, რა გაწუხებს და მე ვეცდები საჭირო რჩევა მოგცე, დაგეხმარო".

გავიდა ორი თვე. პედაგოგმა შენიშნა, თანდათან როგორ გამოცოცხლდა ბიჭი, სწავლას უმატა და იმ გოგონასთანაც თითქმის აღადგინა ამხანაგური ურთიერთობა. მასწავლებელს არც სიტყვით, არც საქმით არაფერი უგრძნობინებია ბიჭისათვის, მაგრამ გუ-

დებენ, სხვადასხვა დავალებას კეთილსინდისიერად ასრულებენ და, საერთოდ, მორიდებულნი და წესიერნი ხდებიან.

ბავშვს ოჯახში დედისა და მამის ურთიერთდამოკიდებულების კარგი მაგალითი უნდა მივცეთ. მათი ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ბევრს ნიშნავს. დედამ საუბრითა და პირადი მაგალითით უნდა დაარწმუნოს ბავშვი, რომ სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მიერ ადამიანის დიდი პატივისცემაა. და აი, როცა იგი შეამჩნევს, რომ შვილს ვინმეს მიმართ გაუჩნდა გრძნობა, მეტად ფრთხილად, ფაქიზად უნდა ჩაერიოს, რადგან ამ დროს ნათქვამ ყოველა სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მის გრძნობებზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება, არ უნდა დამცირდეს მის წინაშე ის, ვინც მას იდეალად დაუსახავს. საჭიროა დედა, გნებავთ მამა, ღრმად ჩაუფიქრდნენ და წინასწარ გააზრებულად იმოქმედონ. უხეში დამოკიდებულება შელახავს ახალგაზრდის თავმოყვარეობას და მცდარ გადაწყვეტილებამდე მიიყვანს, (რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა), მითუმეტეს, თუ ეს 15-16 წლის ასაკში ხდება. სწორედ აქ უნდა შეასრულოს დედამ თავის გადამწყვეტი როლი — დაეხმაროს შვილს კრიტიკულ მომენტში.

ლით გაიხარა, როცა ბიჭი თავად მივიდა და უთხრა: „ნუ ღელავთ, პატივცემულო მასწავლებელო, ყველაფერი მოწესრიგდა, ჩვენ კვლავ კარგი ამხანაგები ვართ“. მთავარი ის არის, რომ მოსწავლემ ირწმუნა მასწავლებლის სიკეთე და მართლაც რომ გასჭირვებოდა, აუცილებლად რჩევას, დახმარებას სთხოვდა, ვფიქრობთ, მისი გულწრფელი მადლობის ქვეტექსტი სწორედ ეს იყო.

სავალალოდ, ასე როდი იქცევა ყველა მასწავლებელი. დედაქალაქის ერთერთი სკოლის პედაგოგმა თავის სადამრიგებლო მეცხრე კლასში — ბიჭსა და გოგონას ერთმანეთისადმი ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რომ შეამჩნია, მათ მერხზე ერთად ჯდომა სასტიკად აუკრძალა. ბავშვები, რომელთა სწავლასა და ქცევაზე ახლადგაღვიძებულ ნათელ გრძნობას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, კლასის ხელმძღვანელის უჩუმრად, მაინც ერთად ისხდნენ. ერთხელ დამრიგებელი ქართულის გაკვეთილზე შევიდა და, როცა ქალ-ვაჟი კვლავ ერთ მერხზე იხილა, გაანჩხლებულმა დაუყვირა: „ისევ ერთად სხედხართ? ახლავე დასცილდით ერთმანეთს!“ და სხვადასხვა მერხზე გადასვა. მეორე დღიდან გოგონა იმ სკოლაში აღარ გამოჩენილა, მასწავლებლის უტაქტობამ, მისმა უგულო მოქმედებამ აიძულა გამზრდელი სკოლა, ამხანაგები მიეტოვებინა და გულისტკივილით გამოთხოვებოდა სიჭაბუკის პოეზიას — პირველ სიყვარულს.

მე შორსა ვარ იმ მასწავლებლებისაგან, რომლებიც ბავშვებთან სიყვარულის ხსენებას მაშინაც კი გაურბიან, როცა ეს სასწავლო მასალით არის განპირობებული. 30 წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხედავ, თუ ჭაბუკები და ქალიშვილები, როგორი გატაცებით ეძებენ მხატვრულ ნაწარმოებში დიდს, ერთგულს, იდეალურ სიყვარულს, და თუ მწერალი ცდილობს ფაქტების შელამაზებას, უკმაყოფილოდ ამბობენ: „ცხოვრებაში ასე არ ხდებაო“.

მერვეკლასელები „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს თითქმის ზღაპარივით აღიქვამენ, მაგრამ გულწრფელად სჯერათ იმ ერთგულებისა, რომელსაც სიყვარულში იჩენენ ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი, იმ არაჩვეულებრივი „სამამაცო საქმეებისა“, რომელნიც სიყვარულის სახელით არის ჩადენილი. ყველაფერი ეს, მე, როგორც პედაგოგს, ახალგაზრდა ადამიანის სრულიად ბუნებრივ რეაქციად მიმაჩნია, ამიტომაც, ვეუბნები მოსწავლეებს, რომ თავის დროზე მოსული ფაქიზი სიყვარულის გრძნობა, რუსთაველის თქმისა არ იყოს, „საქმეა საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.

მეხუთეკლასელებთანაც კი დამჭირდა ანალოგიური საუბარი, როცა ლადო ასათიანის ლექსს „ქართულ ენას“ ვუკითხავდი. ამ ბრწყინვალე ლექსში, ქართული ენის სადიდებლად, ერთი ამოსუნთქვით რომ არის თქმული, პოეტი ამბობს:

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს
ენავ!“

აქ საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლე კომენტარი გამეკეთებინა იმის თაობაზე, რომ სიყვარული მადლია, ნიჭია, დიდი ადამიანური ბედნიერებაა და მას ფაქიზი მოპყრობა, „ამო საუბარი უნდა“.

აღნიშნული კომენტარი კი გავაკეთე, მაგრამ დიდხანს მაწვალებდა ფიქრი: „სწორად მოვიქეცი თუ არა?“

შვება მაშინღა ვიგრძენი, როცა სუხომლინსკის წიგნზე მუშაობისას წავაწყდი ჩვენი დროის ამ საოცარი პედაგოგის სიტყვებს: „მე ვისწრაფოდი, ჩემი აღსაზრდელების გულებამდე მიმეტანა დიდი ადამიანური გრძნობის, სიყვარულის ფაქიზი [illegible] მუსიკისა და მხატვრული სიტყვის საშუალებით მომავალ დედებსა და მამებში ამ რომანტიკული, წმინდა, კეთილშობილური გრძნობის მიმართ სინაზე აღმეძრა. აღმზრდელებს გირჩევთ, ლექციებისა და საუბრების შეზღუდვის ხარჯზე მიაჩვიეთ თქვენი მოსწავლეები ამაღლებული სიყვარულის გრძნობაზე დაწერილი კარგი ლექსის კითხვას ან მუსიკის შთაგონებულ მოსმენას“.



მაყვალა ცხომარია,
თეატრმცოდნე.

თეატრი ბავშვებს სამშობლოს სიყვარულს, მეგობრის პატივისცემას უნერგავს, შრომის ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება, სერიოზულ პრობლემებზე დაფიქრებას აჩვევს. იგი ამასთანავე ცდილობს შეძლებისდაგვარად შეამზადოს ბავშვი იმ დიდი გრძნობისათვის, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

თეატრი ცდილობს პატივი სცეს ბავშვს, რათა იგი თვითონაც მიეჩვიოს თავისთავისა და უფროსების პატივისცემას. ბავშვი, რომელიც პატივისცემით ეპყრობა სხვას, ემიჯნება ეგოიზმს. სიყვარული ხომ უპირველეს ყოვლისა, ეგოიზმისაგან გამიჯვნაა. იგი ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში ბოლო ხანს ისეთი სპექტაკლები დაიდგა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ამ სერიოზულ პრობლემებზე. ეს სპექტაკლებია: ა. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა“, ჰაკეტისა და გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური“, როშჩინის „თეა და თემო“, მამლინის „ეი, შენ, გამარჯობა“ დაბოლოს, ნოდარ დუმბაძის ცნობილი პიესა „მე ვხედავ მზეს“.

ეს ნაწარმოები მარტო პირველ სიყვარულს არ ეხება. მასში რთული პრობლემებია დასმული. პიესაში სამამულო ომის პერიოდია ასახული და მასში ადამიანურ გამტანობაზე, დიდ, საერთო უბედურებაში თითოეული მოქალაქის მოვალეობასა და გამარჯვებაში თავიანთი წვლილის აუცილებლობაზე მახვილდება ყურადღება. მაგრამ მოზარდების — უსინათლო ხატიას და მისი თანაკლასელის სოსოიას სიყვარული მთელ სპექტაკლს წითელ ზოლივით გასდევს. ეს სიყვარული წმიდაა, დიდი, ამაღლებული და რეჟისორ შ. გაწერელიას მიერ პიესა ისეა დადგმული, რომ იგი მომხიბლავია არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ უფროსებისათვისაც. დარბაზში არ არის არცერთი უხერხული მოძრაობა. ბავშვები სულგანაბულნი უსმენენ, თითქოს არც კი სუნთქავენ და, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ სპექტაკლში სწორედ ეს ხაზია ერთ-ერთი მთავარი სხვა დანარჩენთან ერთად.

მოგახსენეთ, რომ სპექტაკლების ირგვლივ ყოველთვის არ არის ერთსულოვნება თეატრსა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შორის. ვინ რაში სცოდავს, ძნელია დადგენა, ისე კი, თეატრი მოვალეა სიყვარულის საკითხზეც მისცეს ბავშვს მიმართულება. რა დოზით, რა ხერხებით, რომელი ასაკიდან, — ამას მშობლების, სკოლის, თეატრის ფაქიზი, სერიოზული და დაფიქრებული მიდგომა ესაჭიროება. „შუბი ხალთაში არ დაიმალება“. ხელოვნურად არ შეიძლება იმის შეჩერება, რაც ბუნებრივია. ჩვენი ვალია კალაპოტში ჩავაყენოთ ის, რაც შეიძლება უკალაპოტო მდინარედ იქცეს და უმიზნოდ დაიხარჯოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოია რუხაძის ძეგლი

# ჰეროიკა

იმ დღეს, 1975 წლის 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავზე, წვიმდა დაბა ჭვარში. მაისის წვიმა ალბობდა ლანდშაფტს, ქოჩორა გორაკებს, ატყორცნილ ალვებს. სოფელმა მაინც მოიყარა თავი ზოია რუხაძის სახელობის სკოლის ეზოში. დილიდანვე ასუფთავებდნენ ეზოს, ასწორებდნენ პარკში ბილიკებს, კვარცხლბეკზე საბურველიანი ქანდაკება აღმართეს... დასტაქარმა ეგნატე ფიფიამ ჩამოხსნა საფარი ეს იყო ქართველი გოგონა — ზოია რუხაძე. წვიმდა ქანდაკებას თითქოს ცრემლი ჩამოსდიოდა ატირდნენ ეზოშიც: თითქოს ადრე წასული სიჭაბუკე ტიროდა. მაგრამ მზე გამოსცილდა ღრუბელს, სახეზე დაეცა ბაზალტის ქალიშვილს. ამოაშრო ცრემლი.. ახლა დგას იგი, ვით ლეგენდა: ზოია რუხაძე ჰეროიკა, შემოქმედის ხელით გაცოცხლებული

ამ შემოქმედს თავისი საყვარელი გმირები ჰყავს — დაუმარცხებელნი, ბეჭდაუდებელნი, გმირის ნებით სავსენი. მიზანდასახულნი, ხალხის ხსოვნაში პირნათლად დარჩენილნი ასეთია მისი ზოია რუხაძეც. „მე მინდოდა ქართველი გმირი ქალიშვილის ფიგურის სახით ცხოვრების გაზაფხულის წმინდა სიმბოლო შემექმნა“ — ამბობს მოქანდაკე ტატიანა კიკაბიძე და ეს რამდენიმე წელია, ზოია რუხაძე მტკიცე და ნებისყოფიანი სახით, შემართული გაჰყურებს ამ გაზაფხულებს იქ, დაბა ჭვარის ულამაზეს სანახებში.

ბეჭდაუდებელი, დაუმარცხებელი ფალავანთა ფალავანი — არსენ მეკოკიშვილი— ესეც მეორე ლეგენდა, ტატჯანა კიკაბიძის მიერ გრანიტში სულჩადგმული! და სწორედ მის სამშობლო სოფელში — საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში!. 1975 წელი, 9 ოქტომბერი „—ეს იყო ჭეშმარიტი სახალხო დღესასწაული. ძეგლის გახსნის ბედნიერება წილად ხვდა ლევან თედიაშვილს“ — ამბობდნენ იმ დღეს სახელოვან ქართველ მოჭიდავეთა წარმომადგენელნი, ახალგაზრდები, სტუმრები; და ისინი მადლობას უხდიდნენ დიდებულ ხელოვანს — ტატიანა კიკაბიძეს, რომელმაც ახალი სიცოცხლე აჩუქა ფალავანს

— მისი ბეჭები, ძირსდაუდებელი ბეჭები ფალავნისა — აი, რა მიტაცებდა ძეგლზე მუშაობისას ქართველ ფალავნებში სწორედ მის მსგავსს ვეძებდი, მგონი მივაგენი, მგონი შევძელი მსოფლიოს გვირგვინოსანი ფალავნის სახის შექმნა

როდესაც გურჯაანში მოხვდები, შეჩერდი, მგზავრო! აქ აუცილებლად უნდა იხილო ქვის ლამაზი წყობით ნაშენი მემორიალის კომპლექსი (არქიტექტორი გივი ჯაფარიძე) ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული მარადისობის კედელი — მასზე ამოკვეთილი სიუჟეტური ბარელიეფები. მარადისობის ლამპარი, დაფნის ტოტები, ფიგურები — ვით ხსოვნა ომში დაღუპულთა, მშვიდობის დამცველი გურჯაანელი ჯარისკაცებისა; შესანდობარის სასმისი, მტრედები, მახვილი და, რა თქმა უნდა, ნიშანდობლივი შტონი ვაზისა; 300 კვ მეტრი მორკალური კედელი. აქ რაიონის ყოველი სოფელია მოხსენებული, — ორნამენტში გადახლართული ქვაზე ამოკაწრული იმათი გვარ-სახელით, ვინც აღარ დაბრუნდა... კომპლექსს შერწყმული მუზეუმის ფრიზი... ბევრჯერ აღინიშნა, რომ ეს „სანახაობის მხრივ უჩვეულოდ ორიგინალური კომპლექსია, სრულიად უპასუხებს თანამედროვე ქართული მხატვრობის მაღალ დონეს!“

დავუმატებდით, რომ მარადისობის კედელი საოცარი მშობლიური ხელწერით არის შექმნილი: ცხვარი, ჯიხვი, ფრინველი, ვაზი— ეს აქსესუარებიც ბარაქიან კახეთს მიეკუთვნება და ამ დოვლათის ხელყოფა არავის დაანებეს „ღიმილის ბიჭებმა“ და, რა თქმა უნდა, მარადიული ცეცხლიც აქვეა. მათი ავტორები მოქანდაკე ტატიანა კიკაბიძე და მხატვარი გრიგოლ ჩირინაშვილი არიან ხელოვანთა ამ დიდებულმა წყვილმა შექმნა კედელი, დიდი ხსოვნა უკვდავებისა მათვე ეკუთვნით მემორიალის მთელი მხატვრობაც შეჩერდი, მგზავრო! ადი უთვალავ კიბეზე, მზის სხივები პირველად აქ ეცემა და უფრო მკვეთრად ჩანს განათებული მარადისობა, ბარელიეფებით, რელიეფებით ეს კომპოზიცია სიმფონიაა, ორატორიაა ქვისა ასეც ამბობენ

და მომაღლო ბორცვიდან ამ ორატორიაში, ამ სიმფონიაში თავის მღუღარე სათქმელს იძახის „ჯარისკაცის მამა“ — მერაბ ბერძენიშვილის ცნობილი ქმნილება, საგანგებოდ ამ ჰეროიკული მემორიალისათვის შექმნილი!

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტატიანა კიკაბიძე



მარადისობის კედლის ფრაგმენტები



მარადისობის კედელი გურჯაანში







ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ქუთათელაძის პორტრეტი



დოდოს პორტრეტი



არსენ მეკოკიშვილის ძეგლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

## ლენინურ კომკავშირს

მე საპატიოთა სიაში რა მინდა, —
  მხედრული ჩაჩქანი მშვენის!
ვითარცა ჭაბუკმა, მებრძოლმა, რაინდმა
  სულ უნდა ვიცოცხლო შენით.

ყოფილი კი არა, მუდმივი წევრი ვარ
  შენივე გმირული რაზმის.
ყველაფერს, სიყრმიდან რაც დამიწერია,
  სულ შენი ბეჭედი აზის.

ეს გულიც შენია და იგი ამაყობს,
  რომ დაღლას არ ფიქრობს ჯერაც.
ბედმა რომ უარმყოს, დამცეს და დამმარხოს,
  მე შენ არ გამწირავ, მჯერა!

მე ცისკრის ვარსკვლავზეც ლოგინში არ ვწვები,
  ძილი რომ გამიტკბეს, ვშიშობ.
ვარ ყველა თაობის სიმღერის დამწყები
  და ყველა თაობის პირმშო.

მწამს მხნელი, მთესველი, ფოლადის
                                        მდნობელი,
  მებაღე, მეზვრე თუ მწყემსი...
მწადია იმ გმირთა ვთქვა სამადლობელი
  და ცეცხლში გავფერო ლექსი.

მწადია შენ გგავდეს... ბრძოლაა იმგვარი,
  დრო შესვენებისთვის არ ჩანს...
შენებრ მეც სიჩუმეს ვარჩიე გრიგალი
  და განუწყვეტელი გარჯა.

ო, ჩემი ბავშვობის მზეო და ალერსო,
  მხედრული ჩაჩქანი მშვენის!
იმ დროსაც, შენს ორჯერ სამოცს რომ
                                        დავესწრო,
  ვიქნები მებრძოლი შენი!

## მოგონება

სევდიანი დღე იყო,
სანთელივით ვდნებოდი,
შენს თვალებში მზე იყო,
მე კი ვიცრემლებოდი.

გოგონია პირიმზე
შვლის ნუკრივით კრთებოდი,
მაინც ღიმილს აფრქვევდი,
მე კი ვიცრემლებოდი.

მოულოდნელს ელოდი
და ლოდინით ტკბებოდი,
გული შენი მღეროდა,
მე კი ვიცრემლებოდი.

ცისკენ გსურდა გაფრენა,
ფეხის წვერზე დგებოდი,
მე კი შენგან გმობილი
მწარედ ვიცრემლებოდი...

## სიზმარი

ერთხელ, ღამით, დამესიზმრა:
ვდგავარ კვიპაროსის ძირას,
მოჩუხჩუხებს ბაღში წყარო,
გელოდები მის ნაპირას,
ჩემო ბეხვერია ცირა!

აქეთ-იქით ვიხედები,
მოანათებს შენი სახე,
მე შლეგივით წამოვიჭერ
იმ დიდ ბაღში როცა გნახე,
ჩემო ბეხვერია ცირა!

რა ღვთიური ბუნებაა!
რა მშვენება ჯადოსნური!
შენ ციმციმებ, ვით ფერია,
ციდან დაბლა ჩამოსული.
ჩემო ბეხვერია ცირა!

გამეღვიძა და რას ვხედავ:
თავს დამნათის მღლვრიალა მზე!
საწოლიდან გადმოვარდნილს
მიძინია იატაკზე,
ჩემო ბეხვერია ცირა!

სიზმარს გაჰყვა ყველაფერი:
არსად ბაღი, არსად წყარო...
ვწევარ შენკენ ხელგაწვდილი,
ჩემო ცხადო და სიზმარო,
ჩემო ბეხვერია ცირა!

1978 წ.



# ქართველები შორეულ ვანინოში

ხაბაროვსკის მხარეში, თათრის სრუტის უკიდურეს სანაპიროზე არის საზღვაო დაბა ვანინო. ბუნებრივ მომხიბვლელობას, გემების მყუდრო და მოხერხებულ მისადგომს, აქაურ კარგ სასმელ წყალს, მარჯვე სანაოსნო მდებარეობას ძველი დროიდანვე მიუქცევია მეზღვაურთა ყურადღება. მაგრამ მისი კეთილმოწყობით მაშინ არავინ დაინტერესებულა. მეზღვაურების საყვარელი ნავსადგური უკაცრიელი ჭაობიანი ველებითა და უსარგებლო ბუჩქნარით იყო დაფარული. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ძველ ლიტერატურულ წყაროებსა და ენციკლოპედიებში მის შესახებ ცნობებს ვერ შეხვდებით, ვერც ძველ რუკებზე ნახავთ ამ დაბის სახელწოდებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი შორეული აღმოსავლეთის ათვისება.

1956 წლის აგვისტოში ბათუმის ნავსადგურიდან გასულმა თბომავალმა „ნიკოლოზ კარამზინმა“ ახალგაზრდა მუშათა ახალი ნაკადი ჩაიყვანა ვანინოში, ამ ახალგაზრდებს შორის იყვნენ ცოლ-ქმარი ამირან და ლილი გოგიჩაიშვილები.

1956 წლის ზაფხულში ამირანმა და მისმა მეუღლემ გაზეთებიდან შეიტყეს, რომ შორეული აღმოსავლეთის საამშენებლო სამუშაოებზე ახალგაზრდა მუშები სჭირდებოდათ. ისინი პირველნი გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და ჩაქვის № 4 ჩაის ფაბრიკის დირექტორს განცხადებით მიმართეს შორეულ აღმოსავლეთში სამუშაოდ წასვლის თაობაზე. ამირანისა და ლილის ინიციატივა ფაბრიკის ხელმძღვანელობამ მოიწონა. მათთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში სამუშაოდ წასვლა სხვა ახალგაზრდა მუშებმაც გადაწყვიტეს. შეიქმნა შორეულში წამსვლელ ახალგაზრდა მუშათა ბრიგადა.

1956 წლის აგვისტოს დასაწყისში ბათუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა საზეიმო გაცილება მოუწყო კომკავშირულ საგზურით შორეული აღმოსავლეთის დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობაზე სამუშაოდ მიმავალ ახალგაზრდა მუშათა ბრიგადას. ეს დღე ბათუმის ნავსადგურში ახალგაზრდობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. საქართველოს კომკავშირის წარგზავნილი ახალგაზრდა მუშათა ეს ბრიგადა იმითაც იქცევდა ყურადღებას, რომ თავისი შემადგენლობით იგი ინტერნაციონალური იყო.

საქართველოდან ჩასულებს ვანინოში აგურით ნაგები ერთი პატარა მაღაზია, ერთი აბანო და ხის რამდენიმე საცხოვრებელი ბარაკი დახვდათ. დაბა ის ის იყო შენდებოდა.

ცოლ-ქმარმა გოგიჩაიშვილებმა თავიდანვე მუშაობის კარგი ტემპი აიღეს. ამირანმა ვანინოს 508-ე საამშენებლო ტრესტში დაიწყო თვითმცლელ ავტომანქანაზე მძღოლად მუშაობა. შრომისმოყვარე, პირდაპირი და სამართლიანი — ასეთებად გაიცნეს ვანინოელებმა ამირან და ლილი გოგიჩაიშვილები. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როცა 508-ე საამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობამ ლილი გოგიჩაიშვილი მღებავთა და მლესავთა კომპლექსურ ბრიგადას ჩაუყენა სათავეში. ქართველმა ახალგაზრდებმა ხელმძღვანელობის დიდი ნდობა და იმედი საქმით გაამართლეს და მოკლე ხანში წარმატებაც მოიპოვეს, მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ, მიუხედავად მძიმე სამუშაო პირობებისა, გოგიჩაიშვილები ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს.

ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შემდეგ ამირანმა შეძლო ახალ მიწისმთხრელ და ამწე ავტომანქანაზე მუშაობა. ახლა მას შენობათა კანალიზაციისა და სითბოს კომუნიკაციების საძირკვლისა და თხრილების გაყვანა-გაჭრაზე შრომა უწევდა.

იჭრებოდა საძირკვლები, შენდებოდა ახალი საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. როგორც კი მშენებლები ახალ შენობას დაამთავრებდნენ, მას ლილი გოგიჩაიშვილის მლესავთა და მღებავთა კომპლექსური ბრიგადა დაეპატრონებოდა. პატიოსანი შრომითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გოგიჩაიშვილების მუშური ოჯახი ვანინოში დღითიდღე სახელს იხვეჭდა. ამირანს სოფლიდან ძმამ ჩამოაკითხა. გულმა მასაც მშენებლობისაკენ გაუწია და ვანინოს 508-ე საამშენებლო ტრესტში ელექტრო-მექანიკოსად დაიწყო მუშაობა. დამსახურებისათვის მოწინავე ცოლ-ქმარი ამირან და ლილი გოგიჩაიშვილები სკკპ რიგებში მიიღეს. ეს იყო მათი პირველი დიდი სიხარული ვანინოს მიწაწყალზე. ახლა უფრო დიდი პასუხისმგებლობა იგრძნეს, როგორც კომუნისტებმა.

მეორე დიდი სიხარული გოგიჩაიშვილების ოჯახს პირველი შვილის — ნინოს დაბადებამ მოჰგვარა. გავიდა მოკლე ხანი და გოგიჩაიშვილებს ვაჟი შეეძინათ, რომელსაც სერგო დაარქვეს. მათ ახალი, კეთილმოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილი ბინა მისცეს დაბის ყველაზე ლამაზ და მოხერხებულ ადგილზე, ზღვისპირას, საიდანაც ხელისგულივით ჩანს თათრის სრუტის უსაზღვრო სივრცე და იქ მოცურავე გემების ქარავანი. რაიონის ხელმძღვანელობის ასეთმა ზრუნვამ და დაფასებამ ფრთები შეასხა ცოლ-ქმრის ოცნებას.

ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. დედა არ ცხრებოდა, დასვენებაზე ფიქრი შორს იყო მისგან, შვილებს თავს დასტრიალებდა, მათ სახლში გვიანობამდე არ ქრებოდა შუქი, ბავშვები გაკვეთილებს ამზადებდნენ. დედა დაღლას არ იმჩნევდა, დილით მაინც ხალისიანად მიდიოდა სამუშაოდ. ნინომ ჯერ საშუალო სკოლა, შემდეგ მუსიკალური სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და მალე ცოლად გაჰყვა კოლია დიმოვს.

პატარა სერგო ტოლებში დღესაც კარგი სწავლითა და მაღალი სპორტული მაჩვენებლებით გამოირჩევა. სერგომ 100 და 200 მეტრზე ზურგით ცურვაში მოსწავლეთა შორის სხვადასხვა შეჯიბრებებში პირველი ადგილი დაისაკუთრა და ხაბაროვსკის მხარის ჩემპიონი გახდა.

ისინი ისე შეეჩვივნენ და შეეგუენ ვანინოს, რომ თუმც მათ კომკავშირულ საგზურს დიდი ხანია იქ ცხოვრების ვადა გაუვიდა, შინ დაბრუნებაზე აღარც კი ფიქრობენ. და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ვანინო მათ თვალსა და ხელს შუა აშენდა და დამშვენდა. თითოეულ საცხოვრებელ სახლს, სკოლას, საავადმყოფოს, საბავშვო ბაღს, აქაურ ქუჩებსა და სკვერებს მათი მუშური ხელების მადლი ატყვია. დაბის მშენებლობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი ცხოვრების საუკეთესო წლები.

ამჟამად ვანინო კეთილმოწყობილი ბინებით, სამეურნეო და ადმინისტრაციული ნაგებობებით, ბაღებითა და ამწვანებული სკვერებით დამშვენებული ქალაქის ტიპის დიდი საზღვაო დაბაა. 1971 წლის დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეოთხე ტომის მონაცემებითა და 1968 წლის აღწერით აქ 16 ათასამდე მცხოვრებია. არის ხის დამმუშავებელი კომბინატი, რამდენიმე სკოლა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო და მრავალი საამშენებლო საწარმო. 1944 წლიდან მოქმედებს ვანინოს საზღვაო-სავაჭრო ფლოტი, რომელიც მძლავრი ყინულმჭრელი გემების დახმარებით მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობს. სხვადასხვა ტვირთით დატვირთული გემები სახალინისაკენ, კურილიის კუნძულებისაკენ, ახოტის ზღვის სანაპიროებისა და უცხოეთის ქვეყნებისაკენ მიეშურებიან და ბრუნდებიან. ვანინოსაკენ უცხოეთის გემებიც იღებენ კურსს.

ვანინო დღითიდღე იზრდება, ხალხმრავალი, მშვენიერი და მიმზიდველი ხდება.

გოგიჩაიშვილებს ეამაყებათ, რომ ვანინოელთა თავდადებული შრომით მოპოვებულ წარმატებებში მათი წვლილიც არის.

**სპარტაკ რეხვიაშვილი**

**მეხილეობა — სამრეწველო რელსებზე სკკპ ივლისის პლენუმის ერთ-ერთი გადაწყვეტილება**



# დიდი პერსპექტივები

ჩვენმა ქვეყანამ დიდი მოსავალი მოიწია ყურძნისა, ჩაისა, ციტრუსისა, მარცვლეულისა, ბაღჩეულისა.

ყოველ ახალ წელს ახალი შეტევა იწყება უფრო უკეთესის მისაღწევად.

საქართველო მეხილეობის მხარეა. აქაური ხილი განთქმული იყო ოდითგან. ბუნებრივი პირობები დიდ საშუალებას იძლევა მეხილეობის მეტად განვითარებისათვის, ინტენსიფიკაციის და კონცენტრაციის პროგრამის განხორციელებისათვის, საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მისი სამრეწველო რელსებზე გადაყვანისათვის.

სკკპ ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია მეხილეობის ამ გზით განვითარება.

მეხილეობის აგროკომპლექსები უფრო მეტად შიდა ქართლის, მესხეთისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებში შეიქმნება. 13 ასეთი მსხვილი აგროსამრეწველო კომპლექსი — ეს იქნება 13.050 ჰექტარზე გაშენებული ახალი ინტენსიური ხეხილის ბაღები. არსებული ბაღების მოსავლიანობის გაზრდით და ახლის შემომატებით ეს აგროსამრეწველო კომპლექსები წელიწადში 530 ათას ტონა ნაყოფს მოგვცემს, რაც წლევანდელ რესპუბლიკურ მაჩვენებელზე მეტი იქნება.

გათვალისწინებულია აგრეთვე მეხილეობის განვითარება კახეთსა და დასავლეთ საქართველოში. კურორტების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს აჭარისა და აფხაზეთის ხილის ბაღები.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული გორის რაიონში. აქ იქმნება ხუთი აგროსამრეწველო კომპლექსი. 4000 ჰექტარს დაიკავებს შინდის-ვარიანის მასივი. 2 200 ჰექტარი ბაღი ტირიფონზე გადაიჭიმება. ლიახვის მასივზე ინტენსიურ ბაღებს 2 000 ჰექტარი დაეთმობა. 1 500 ჰექტარზე გაშენდება ტყვიავის ბაღები, სკრის კომპლექსი 700 ჰექტარს მიითვლის.

კასპის რაიონში სამ მსხვილ აგროსამრეწველო კომპლექსს ეყრება საფუძველი. 600 ჰექტარს ხოვლეს ინტენსიური ბაღები დაიკავებს, 246 ჰექტარს — თეძამი და 210 — სამთვისი. ამ კომპლექსებს კიდევ ერთი — კავთისხევის და ქვათახევის მასივები დაემატება (1000 ჰექტარი).

მათ არ ჩამორჩება ქარელის რაიონი. მალხაზისწვერისა და დედოფლის ორი მსხვილი აგროსამრეწველო კომპლექსი გასარწყავებისა და ქარსაცავების მეშვეობით ხეხილის უხვმოსავლიან ბაღებად გადაიქცევა. 2 000 ჰექტარს დაიკავებს აქაური სარაიონთაშორისო მეხილეობის გაერთიანება.

სამრეწველო რელსებზე გადადიან ხაშურის რაიონი, მესხეთი, სამხრეთ ოსეთი.

ეს დიდი სამუშაოები მთელი ძალით გაიშლება 1979 წელს. საქართველო მეხილეობის უმდიდრესი მხარე იქნება.

**კ. ლიაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# როცა სამიზნე გიხმობს

ქუთაისში გაიზარდა. წყნარი და გულდინჯი იყო მერვე და ცხრა და-ძმისა. ბეჯითად სწავლობდა. თანატოლ გოგონებში არაფრით გამოირჩეოდა. სპორტზე არც უფიქრია. სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა, მერე კი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ერთმანეთს მიჰყვა სტუდენტური ცხოვრების დღეები — ახალი საგნები, ახალი გატაცება, თავაუღებელი მეცადინეობა. ძნელი იყო ეს ბეჯითი, მორიდებული გოგონა მომავალ რეკორდსმენად და ჩემპიონად წარმოგვედგინათ. როგორც ყველა მისი ამხანაგი, ფიზკულტურის ფაკულტეტურ მეცადინეობებს ესწრებოდა, მონდომებით, დაუზარებლად ვარჯიშობდა. ესეც ალბათ იმიტომ, რომ საერთოდ სჩვევია გულმოდგინება და ყოველ საქმეს მუყაითად ეკიდება, თორემ სპორტის სიყვარული ჯერ კიდევ შორს იყო, ჯერ კიდევ ნიშანს ელოდა. მზის გამკვლევსა და გონიერ მწვრთნელს უცდიდა ეს სპორტული ჟინი და მებრძოლი სულისკვეთება, რომელმაც მას მსოფლიო სახელი და აღიარება მოუტანა.

1967 წელი იყო. გაკვეთილზე ფიზაღზრდის მასწავლებელს უცნობი თმაშევერცხლილი კაცი შემოჰყვა. მტკიცე, მხედრული ნაბიჯით მოდიოდა. სამხედრო კაცისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით გაეცნო სტუდენტებს: — თადარიგის პოდპოლკოვნიკი შალვა ჯაშიაშვილი.

შალვა დიდხანს და გატაცებით ესაუბრა სტუდენტებს. იგი ლაპარაკობდა მშვილდოსნობის ისტორიაზე, ამ სახეობის დღევანდელ დღეზე, მის გამორჩეულ სილამაზესა და რაინდულ ელფერზე, მერე ამორძალებიც გაიხსენა და ბოლოს სმენად გადაქცეულ გოგონებს ჰკითხა: — აბა, ვინ ჩაეწერება მშვილდოსნობის სექციაშიო. ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ჯერ ერთმა ასწია ხელი გაუბედავად, შემდეგ — მეორემ. ქეთევან ლოსაბერიძეც ჩაფიქრდა, ბოლოს ნაბიჯი წინ წადგა და მორიდებით თქვა: მეც ვცდი, თუ გვიან არ არისო.

არ იყო გვიან. და ეს სულ მალე დადასტურდა. ერთ წელსაც არ გაევლო, რომ ქეთევან ლოსაბერიძემ საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ეს ახალბედა სპორტსმენის პირველი გამარჯვება იყო, რომელსაც სულ მალე ახალი წარმატებები მოჰყვა. ქეთევანი მსოფლიომ გაიცნო. სულ რაღაც ოთხ წელიწადში ქუთაისელი ქალიშვილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა. ეს იყო 1971 წელს, როცა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში თბილისელმა ლუბა ახატუროვამ ოქროს მედალი მოიპოვა. მაშინ ქეთევანი მეშვიდე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ იმავე წელს საკავშირო თასის გათამაშებაში 50 მეტრზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 310 ქულა დააგროვა. დაიხსომეთ ეს ციფრი! მაშინ ეს შედეგი ზოგს ფანტასტიკურადაც კი მოეჩვენა.

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. 1971 წლიდან ქეთევან ლოსაბერიძე სსრ კავშირის ნაკრების წევრია, 1972 წელს ლუქსემბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატში აბსოლუტურ პირველობას იხვეჭს. იმავე წელს სსრ კავშირის ჩემპიონი ხდება და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე აბსოლუტურ პირველობაში მეოთხე ადგილს იკავებს, 70 მეტრზე სროლაში კი უძლიერესია. 1973 წელს ქეთევანი სსრ კავშირის თასის მფლობელია. მომდევნო წლებში საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებს ეუფლება, ხოლო 1975 წელს, იტალიის ქალაქ მონცაში — „ამბროზიანუს“ პირველობად წოდებულ დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში უძლიერესის სახელს არავის უთმობს. ეს იყო სახელოვანი ქართველი ქალიშვილის ბრწყინვალე სპორტული ბიოგრაფიის პირველი კარის ბოლო ფურცელი. ქეთევანი სპორტულ სარბიელს ჩამოშორდა და თბილისის უნივერსიტეტში ზოგადი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. მის წინაშე ახალი, ფართო და საინტერესო ასპარეზი გადაიშალა. მომავალი ცხოვრების გზა თითქოს საბოლოოდ არჩეული იყო, მაგრამ... როგორც ჩანს, ძნელია უღალატო შენს თავს, შენსავე მოწოდებას, ძნელია დაივიწყო სპორტის სიყვარული. ქეთევანს სარბიელზე დაბრუნებას სთხოვდნენ გულშემატკივრები, კოლეგები, მეგობრები, საასპარეზოდ უხმობდნენ მომავალი მეტოქეები, მსოფლიოს სასროლეთებზე გაფანტული ურიცხვი სამიზნეები და... ქეთევან ლოსაბერიძის სპორტული ბიოგრაფია კვლავ გაგრძელდა. 1978 წელი, ევროპის ჩემპიონატი ინგლისის ქალაქ კოვენტრიში, გუნდური შეჯიბრება — პირველი ადგილი, პირადი — მეოთხე; სოციალისტური ქვეყნების უძლიერეს მშვილდოსანთა ასპარეზობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — აბსოლუტური პირველი ადგილი და მსოფლიო რეკორდი 50 მეტრზე სროლაში — 322 ქულა. ხომ არ დაგავიწყდათ, — ამ დისტანციაზე 1971 წელს ლოსაბერიძის რეკორდი 310 ქულა იყო. წლეულს ქეთევანმა ყველას აჯობა აშხაბადში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში და საპატიო ჯილდო მოიპოვა, ხოლო 50 მეტრზე სროლაში კვლავ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი — 329 ქულა! 70 მეტრზე შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა 318 ქულა დააგროვა. 2 ქულაც და მსოფლიო რეკორდი ამ სახეობაშიც მას დარჩებოდა. აშხაბადშივე ქეთევანმა საკავშირო რეკორდები დაამყარა 50 და 70 მეტრზე ორ-ორი ვარჯიშის ჯამით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს კი აბსოლუტური პირველობაც მოიპოვა. ქეთევანი დაეუფლა თასს, ერთი საკავშირო რეკორდიც დაამყარა, — ამჯერად აბსოლუტურ პირველობაში — 2571 ქულა. ასეთი შედეგი მსოფლიოში ჯერ არცერთ მშვილდოსან ქალს არ ჰქონია.

სულ ახლახან ორჯონიკიძეში უმაღლესი სასწავლებლების მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში ქეთევანმა ყველა უზომოდ განაცვიფრა: მან 2627 ქულით აბსოლუტური პირველობა მოიპოვა (56 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო ოფიციალური რეკორდი)! აქვე, 30 მეტრზე პირველ სერიაში ასპარეზობისას 360 შესაძლებლიდან 357 ქულა დააგროვა (ასეთი შედეგი მსოფლიოში არათუ ქალებს, ვაჟებსაც კი არ ჰქონიათ), ამავე დისტანციაზე ორი სერიის ჯამით კი — 395 ქულა, რაც მსოფლიო რეკორდს 17 ქულით აჭარბებს. სამწუხაროდ, ყველა ეს შედეგი მანეუში ასპარეზობისას არის ნაჩვენები და მსოფლიო რეკორდებად არ მტკიცდება.

აქვე ვიტყვით, რომ ეს არ არის ქეთევან ლოსაბერიძის წარმატებათა სრული ნუსხა. ჩვენ მხოლოდ ის შედეგები და შეჯიბრებები ავნიშნეთ, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად და საეტაპოდ მიგვაჩნია ამ სახელოვანი სპორტსმენის ბიოგრაფიაში.

— არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი მწვრთნელი და დამრიგებელი შალვა ჯაშიაშვილი. მან გამიკვალა გზა სპორტულ სარბიელზე, მას უნდა ვუმადლოდე დღევანდელ წარმატებებს, — გვითხრა ქეთევანმა და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: არასოდეს დამავიწყდება ისიც, თუ როგორ დავმარცხდი მიუნხენის ოლიმპიადაზე. წარმატება მუდამ სასიხარულო და საამაყოა, მაგრამ მე რომ მკითხოთ, სპორტსმენს მუდამ უნდა ახსოვდეს ის შეჯიბრება, რომელშიც დამარცხდა. ეს ალბათ კიდევ უფრო ზრდის ბრძოლის ჟინს, რევანშისკენ ლტოლვას.

კაცმა რომ თქვას, ოლიმპიურ თამაშებში მეოთხე ადგილი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, მაგრამ ქეთევანი სხვა აზრისაა:

— თავდაპირველად ვლიდერობდი, მეორეც ვიყავი, მესამეც, ბოლოს კი მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდი. უკეთ გამოსვლა შემეძლო და მესამე საპრიზო ადგილსაც ვერ შევწვდი: თანაგუნდელმა ემა გაპჩენკომ ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ერთი ქულით მაჯობა. სსრ კავშირის ქალთა ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ბალოვმა სინანულით მითხრა: ოქრო დაკარგე, ვერცხლი დათმე, ბრინჯაო კი მეტოქეს აჩუქეო. აბა, იმ დამარცხებას რა დამავიწყებს! თუმცა, ესეც არის: მიუნხენში ვერცხლის მედალი 52 წლის პოლონელმა სპორტსმენმა ირენა შიდლოვსკამ მოიპოვა. გამოდის, რომ მე ჯერ კიდევ შემიძლია მომავალ ოლიმპიადებში წარმატების იმედი ვიქონიო (გავხსნათ ფრჩხილები — ქეთევანი 29 წლისაა). გულით მინდა ხაწადელს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მივაღწიო. ოლიმპიურ შეჯიბრებებში ამერიკელ მშვილდოსნებს მუდამ დიდი უპირატესობა აქვთ ხოლმე. ახლაც ალბათ ისინი იქნებიან ჩვენი მთავარი მეტოქეები. ვნახოთ, გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავ.

მოსკოვის ოლიმპიადამდე კი, 1979 წელს, ქეთევანს ორი დიდი გამოცდა ელის — მსოფლიო ჩემპიონატი დასავლეთ ბერლინში და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, სადაც მან საქართველოს სპორტული ღირსება უნდა დაიცვას. ახლა ქეთევანის მთელი ყურადღება სწორედ ამ შეჯიბრებებისკენ არის მიმართული და ამჟამად ვასილ ტროპინის ხელმძღვანელობით ემზადება ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

აქვე უნდა ვთქვათ: არათუ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, თბილისშიც კი მშვილდოსნებს დღემდე არა აქვთ რიგიანი სარბიელი, წვრთნის პირობები — „ლოკომოტივის" სტადიონის მომიჯნავე პატარა მინდორზე ვარჯიშობენ და არც ინვენტარით არიან განებივრებულნი.

ეს ყველაფერი უთუოდ აფერხებს საქართველოს მშვილდოსანთა დაოსტატებას. ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ საბჭოთა კავშირში მშვილდოსნობის სამი ცენტრი იყო — ჯერ ლვოვში, მოსკოვში, შემდეგ კი — ქუთაისში. ახლა ასეთი ცენტრები შეიქმნა თბილისში, ირკუტსკში, დუშანბეში, ტაშკენტში, ოდესაში, ჩიტაში... ცხადია, კონკურენციაც გაიზარდა და თითო-ოროლა ძლიერი სპორტსმენით საკავშირო სარბიელზე წარმატებას ვეღარ მოიპოვებ. სწორედ ეს აწუხებს სახელოვან სპორტსმენს. ამიტომ გვითხრა საუბრის დასასრულს:

— ჟურნალისტები სპორტსმენთა მიღწევებზე წერდნენ, წერენ და უნდა დაწერონ კიდევაც, მაგრამ თვით სპორტის ამა თუ იმ სახეობაზე, მაგალითად, მშვილდოსნობის საჭირბოროტო საკითხებზე, მშვილდოსანთა წვრთნა-აღზრდის პრობლემებზე, მათი მზადებისა და ვარჯიშის პირობებზე ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას. მთავარი ერთი გამორჩეული სპორტსმენი და მისი შედეგები როდია, იგი ყოველთვის შეეცდება თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლენას. მთავარი ის არის, რომ რაც შეიძლება მასობრივი გავხადოთ მშვილდოსნობა. ამ საქმეში კი სხვა მრავალთან ერთად ჟურნალისტის მახვილი თვალიც არის საჭირო...

ჭეშმარიტებაა, გულთან მისატანი სიმართლე. სპორტის რომელიც გნებავთ სახეობაში ხელშესახები წარმატების მოპოვება იოლი რომ არ არის, ამას მტკიცება არ სჭირდება. საჭიროა ვარჯიშის რიგიანი პირობებიც, ხელშეწყობაც, და კიდევ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხარ თუ არა მიზანმიმსწრაფი, დაჯერებული საკუთარ ძალებში, გაქვს თუ არა რკინისებური ნებისყოფა. სწორედ ასეთია ქეთევან ლოსაბერიძე: მებრძოლი, მეტოქესთან უშეღავათო, მტკიცე, პირდაპირი და ამავე დროს ნაზი, ისეთი თვისებებით შემკული, რაც ოდითგანვე შვენოდა ქართველ ქალს.

ჯიმშერ ენუქიძე



# ამაოდ არ უბრძოლიათ

თბილისში, ჩიტაძის ქუჩაზე დგას მაღალი შენობა, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „ჯავაირა ხუტულაშვილის სახელობის თბილისის საბავშვო ფიზიკური დისპანსერი". შედიხარ ვრცელ დარბაზში და კედლიდან, კეთილი ღიმილით გაგიღიმებს სანდომიანი ქალის სურათი. ეს არის ჯავაირა ხუტულაშვილი, დაუცხრომელი რევოლუციონერის კამოს და, მისი განუყრელი თანამგზავრი.

საინტერესო, მძიმე და ძნელი იყო მისი ცხოვრების გზა...

ჯავაირა თბილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში სწავლობდა. სწავლობდა გულმოდგინედ, მონდომებით. მაგრამ ძმამ, სიმონმა რატომღაც სწავლაზე გული აიყარა. ჯერ კიდევ გორში ყოფნისას იგი სულ სოსო ჯუღაშვილთან ტრიალებდა. სოსოც, თუმცა მასზე ბევრად უფროსი იყო, თანატოლივით ექცეოდა, სიყვარულით „კამო" შეარქვა და ეს სახელი ბოლომდე შერჩა კიდეც.

ერთხელ კამომ ჯავაირას მოწაფის ჩანთა გამოართვა, შიგ რაღაც ქაღალდები ჩააწყო და უთხრა, მიხეილის გამზირზე გედევანიშვილის საავადმყოფოსთან დამელოდეო. მალე თვითონაც მოვიდა, მათ ეზო გაიარეს და ერთ პატარა ოთახში შევიდნენ.

— ეს არის ჩემი და, ჯავაირა. — უთხრა კამომ შუახნის კაცს, რომელიც სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა.

— სასიამოვნოა, თვალებზე ეტყობა, რომ ცქვიტი გოგონაა! — თქვა მიხა ბოჭორიძემ და ჯავაირას კეთილად გაუღიმა. მერე რაღაც შეკვრა გადასცა და გამოისტუმრა.

როცა სახლს მიუახლოვდნენ, კამო შეჩერდა.

— იცოდე, არავისთან არაფერი დაგცდეს, დეიდა ლიზასთანაც კი...

— რატომ, განა ცუდია, რასაც თქვენ აკეთებთ?

— ცუდს რას ვაკეთებთ, ჩვენ ხალხის ბედნიერებისათვის ვიბრძვით, მაგრამ განა ყველას უნდა, რომ ხალხი ბედნიერი იყოს? იცი რა, ხვალ ახალგაზრდობის წრის მეცადინეობაზე წაგიყვან და მაშინ გაიგებ, თუ რისთვის ვიბრძვით.

მას შემდეგ ჯავაირა მუშათა წრის მეცადინეობაზე დადიოდა, საღამოს კი წიგნებს ჩაუჯდებოდა და კითხულობდა — „ოთხ ძმას“, „ლუკმაპურის ამბავს“, „რვა საათიან სამუშაო დღეს“. ახლა იგი უკვე აქტიურად ეხმარებოდა კამოს პროკლამაციების გავრცელებაში, აკრძალული ლიტერატურის გადატანაში, კავშირს ამყარებდა პარტიულ ამხანაგებთან.

ერთ დღეს ქალთა მესამე გიმნაზიაში ისტორიის გაკვეთილზე საკლასო ოთახის კარი გაიღო და დარაჯი ქალი შემოვიდა.

— პეტროსოვა, დირექტორთან! — მკაცრად თქვა მან.

გაფითრებული ჯავაირა უსიტყვოდ გაჰყვა. მერე დიდხანს ისმოდა კაბინეტიდან დირექტორის მწივანა ხმა. ჯავაირა გაფითრებული იდგა და ფიქრობდა, როგორ მოხდა, რომ პალტოს შიდა ჯიბეში ჩარჩა პროკლამაცია, აკი ყველა საგულდაგულოდ მოაბნია თბილისის ქუჩებში! გიმნაზიიდან ჯავაირა პირდაპირ ალექსანდრეს ბაღისაკენ დაეშვა, სადაც ძმას უნდა შეხვედროდა. კამო მერხზე იჯდა და ელოდა.

— რა იყო, რა მოგივიდა! — შეშფოთებით ჰკითხა თვალცრემლიან ჯავაირას.

— გიმნაზიიდან დამითხოვეს, — ძლივს გამოსცრა ჯავაირამ და ცრემლები წასკდა.

— მერე, რა გატირებს, შე გლახა? სწავლას მერეც მოესწრები. ჩვენ ახლა პრაქტიკული მუშაკები უფრო გვესაჭიროება. წამოდი, მე მოგცემ საქმეს, დეიდა ლიზასაც მე ვეტყვი ყველაფერს.

ეს მოხდა 1903 წელს. ერთი წლის შემდეგ ჯავაირა პარტიის რიგებში მიიღეს, ახლა იგი უკვე აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. იმ ხანებში კამომ მიხო ჩოდრიშვილისაგან ხის საბეჭდი დაზგა წამოიღო და გოგირდის აბანოების ზემოთ, სურფსარქისის ეკლესიის პირდაპირ, ერთი თათრის სახლში გამართულ სტამბაში ჯავაირასთან ერთად დაიწყო პროკლამაციების ბეჭდვა. პროკლამაციები სამ ენაზე იბეჭდებოდა, მაგრამ ეს არ იყო რთული საქმე, ყველაზე ძნელი იყო დაბეჭდილი მასალის ჩოდრიშვილის ბინაზე გადატანა.

კამომ ეს საქმეც იოლად მოაგვარა. იყიდა ჩადრი, შიგნიდან ჯიბე დააკერა და ჩადრმოხურული ჯავაირა თამამად დადიოდა თბილისის ქუჩებში, თანაც უბით დაჰქონდა „ცხელ-ცხელი ლავაშები“, მუშებს ბედნიერი ცხოვრებისთვის ბრძოლისაკენ რომ მოუწოდებდა.

1907 წლის ივლისის ერთ დღეს ჯავაირა დააპატიმრეს. ჟანდარმერიის პოლკოვნიკი პოსტრიულინი გაკვირვებული დარჩა, როცა მასთან კაბინეტში სრულიად ახალგაზრდა ქალი შეიყვანეს, რომელსაც საოცრად ლამაზი თვალები და გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა. იგი მაშინ შეეპყროთ, როდესაც ქუჩაში პროკლამაციებს ფანტავდა. ჯავაირას რვა თვის პატიმრობა მიუსაჯეს.

ციხემ ვერ გატეხა ჯავაირა. იგი მზად იყო, არამცთუ ციხეში, ციმბირში, კატორღაში და, თუ საჭირო იქნებოდა, სახრჩობელაზეც კი ასულიყო რევოლუციის საქმისათვის.

1911 წელს ჯავაირა კვლავ დააპატიმრეს, რადგან აქტიურად ეხმარებოდა თავის ძმას კამოს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაპარვაში. ახლა უკვე სამი წლით მიიხურა მის უკან ციხის მძიმე კარი.

პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ ჯავაირა კვლავ განაგრძობს არალეგალურ მუშაობას. 1916 წლის ივლისში საგუბერნიო ციხის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი კვლავ ხელს აწერს ბრძანებას ჯავაირას დაპატიმრების შესახებ. მაგრამ თებერვლის რევოლუციამ სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად ჯავაირაც გაათავისუფლა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ჯავაირა კვლავ არალეგალურად ცხოვრობს. 1919 წელს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით იგი მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში, რათა მოახერხოს ინგუშეთში ჩარჩენილი ბოლშევიკი ამხანაგების ოჯახების სამშობლოში დაბრუნება.

ცხადია, ოფიციალურად იგი ჩრდილოეთ კავკასიაში ვერ ჩავიდოდა, ამიტომ თბილისის ბოლშევიკებმა მოისყიდეს გენერალი ჩიქოვანი, რომელიც დათანხმდა ჯავაირა თავის მეუღლედ გამოეცხადებინა. და აი, ჯავაირა კნეინა ჩიქოვანის სახელით ჩრდილო კავკასიაშია. აქ მას პატივისცემით ეკიდებიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მისდამი გენერალი შკურა და მამონტოვი.

— მე მხოლოდ კნეინა ჩიქოვანს შემიძლია ვანდო ჩემი პორთფელი, — თქვა ერთხელ ოდნავ შეზარხოშებულმა შკურამ და, რაკი ყაზბეგის დასათვალიერებლად აპირებდა წასვლას, თავისი პორთფელი ჯავაირას გადასცა, — კნეინა, თქვენს ხელთ არის მთელი კავკასიის ბედი, — დასძინა მან ღიმილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავაირამ ნდობისათვის თავაზიანად გადაუხადა მადლობა, უსურვა კეთილი მგზავრობა და, როცა ეტლი მთას მიეფარა, სასწრაფოდ გახსნა იგი. მის წინ კავკასიაზე შეტევის გეგმა იდო. დროის დაკარგვა არ შეიძლება, სწრაფად უნდა გადახატოს, მაგრამ ხატვა რომ არ იცის, თუმცა, არა, სჯობს, გადაიღოს! ჯავაირას გაახსენდა თხელ ქაღალდში შეხვეული ფარფლიანი ქუდი და... მალე ფაქიზად გადახატული გეგმა ჯავაირას ხელთ ჰქონდა. ახლა საჭირო იყო იგი ბოლშევიკი ამხანაგებისათვის გადაეცა. მაგრამ როგორ?

ჯავაირამ იცოდა, რომ მეორე დღეს ფასანაურში ამხანაგებთან დასაკავშირებლად კამო უნდა ჩამოსულიყო. და აი ჯავაირამ კეკლუცად სთხოვა გენერალს, ფასანაურში გავისეირნოთ, მთის სოფლები არ მინახავსო, და თუმცა ძალიან გაუჭირდა, გეგმა მაინც გადასცა ძმას.

ამ ხანებში იგი თითქოს ორი ცხოვრებით ცხოვრობდა. დღისით ოფიცრებით და მათი ცოლებით გაშემორტყმული ცდილობდა რაც შეიძლება მეტი საჭირო ცნობები შეეკრიბა, ღამით კი უბრალო ტანსაცმელში გადაცმული ქალაქის გარეუბნებში იატაკქვეშეთში მომუშავე ამხნაგებს აწვდიდა მასალებს.

დაძაბულად გადიოდა დღეები. 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში თავისუფლების წითელი დროშა აფრიალდა. ახლა ჯავაირა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. იატაკქვეშეთში მუშაობისათვის მას აჯილდოებენ სიგელითა და ოქროს საათით. ამავე წელს საგარეო საქმეთა მინიტრ გუსეინოვთან ერთად იგი ესწრება კომინტერნის II კონგრესს და პირველად ხვდება ლენინს, რომელსაც კამო ჯერ კიდევ საზღვარგარეთიდან იცნობდა.

1921 წელს საქართველოშიც აფრიალდა თავისუფლების წითელი დროშა. ჯავაირა თბილისში ბრუნდება და სერგო ორჯონიკიძის წინადადებით მუშაობას იწყებს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატში.

მისი მონაწილეობით საქართველოში მრავლად გაიხსნა პოლიკლინიკები და დისპანსერები, ბავშვთა ბაგები და პიონერთა ბანაკები, აშენდა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. ამიტომაც იყო 1929 წელს „შრომის გმირის“ წოდება რომ მიანიჭეს, უფრო გვიან კი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ მაგრამ ხალხი არასოდეს დაივიწყებს მისი ბედნიერებისათვის მებრძოლ, რევოლუციის ერთგულ ჯარისკაცებს, და მათ შორის ლეგენდარული კამოს დას ჯავაირა ხუტულაშვილს.

**თინა სულიაშვილი**

# ქატო მიქელაძე



როდესაც დედაჩემს — საფო მგელაძეს ვიხსენებ, მის გვერდით არ შეიძლება არ მომაგონდეს ჩვენი მეორე დედა — კატო მიქელაძე.

იგი დედაჩემისა არც ნათესავი იყო, არც ბავშვობიდან თანშეზრდილი. 1917 წელს საფომ გაიგო, რომ ქუთაისში დაარსდა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა", რომელსაც საზღვარგარეთიდან ახლადდაბრუნებული კატო მიქელაძე რედაქტორობდა და გადაწყვიტა ამ გაზეთში დასაბეჭდად გაეგზავნა თავისი ახლადდაწერილი ლეგენდა-პოემა „ბახმარო".

საფოს ნიჭით აღფრთოვანებული კატო მიქელაძე, იმავე წლის შემოდგომაზე ესტუმრა მას გურიაში, სოფელ ნასაკირალში და თან ჩამოუტანა გაზეთი, სადაც პოემა იყო გამოქვეყნებული (ეს გაზეთი, მისივე თხოვნით, მე ი. გრიშაშვილს გადავეცი). ამ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა. კატოს არქივში საფოსადმი მინაწერი ბევრი წერილი ინახება. იგი ამხნევებდა მეგობარს:

„... გაშალე ფრთები, მოიწადინე ცაში აფრენა, ნუთუ შენი მშვენიერი ნიჭი არ კმარა. ასეთი მისწრაფება რომ გეძალებოდეს?! მაშ გაცოცხლდი, გამოისხი არწივის ფრთები და აფრინდი ისეთი სულიერი ენერგიით, რომ ყოველივე ავადმყოფობა და დაბრკოლება გადალახო"...

საფოც არ დარჩენილა ვალში და საუკეთესო ლექსები უძღვნა კატო მიქელაძეს.

მინდა მოკლედ მოვხაზო კატო დაკითის ასულ მიქელაძის ცხოვრების ძირითადი მომენტები. იგი დაიბადა 1877 წელს სოფელ კულაშში (ქუთაისის მაზრა).

„რაც თავი მახსოვს, მე არ მაგონდება მშობლიური კერა და ორი წლიდან, დედის სიკვდილის შემდეგ, ვიზრდებოდი ნათლიის ოჯახში, იმ დროს დაბა სუჯუნაში". პატარა კატოს პატრონობა თავს იდო მათი ოჯახის ძიძის შვილიშვილმა, გაბუნიას ქალმა, კუხალაშვილის ოჯახობამ. ნათლიამ რვა წლის კატო ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში შეიყვანა. ამ უკანასკნელი ქრისტეფორის სიკვდილის შემდეგ, კატო იძულებული გახდა სასწავლებელი მეოთხე კლასიდან დაეტოვებია. ცხოვრობდა ნათესავებში. ბოლოს, ნათესავების დახმარებით 1897 წელს კატო მიქელაძე თბილისის საბებიო ინსტიტუტში შედის, 1900 წელს იგი ბებია ქალის ხარისხს იღებს და დაბა ცხინვალში (გორის მაზრა) იწყებს სამსახურს, სადაც სრულიად უსასყიდლოდ და ხშირად საკუთარი ფულით ნაყიდი წამლებით უვლის და შველის იქაურ ღარიბსა და სიბნელეში მყოფ მშრომელ ქალებს; ამის შესახებ წერილიც კი გამოქვეყნდა ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში".

კატო მიქელაძე მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით 1903 წლამდე დაბა ცხინვალში ეწეოდა კულტურულ და რევოლუციურ მოღვაწეობას, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, აწყობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ხარსებდა სცენისმოყვარულთა ჯგუფს და მართავდა წარმოდგენებს.

კატო მიქელაძე სამწერლო ასპარეზზე 1898 წელს გამოვიდა. მისი პირველი ლექსი ჟურნალ „კვალში" დაიბეჭდა. თანამშრომლობდა აგრეთვე არალეგალურ ჟურნალ „ბრძოლაში", რომელიც ლადო კეცხოველის რედაქტორობით გამოდიოდა. ლადოს იროდიონ ევდოშვილის ხელით უგზავნიდა ლექსებს, რომლებიც „ელ"-ის ფსევდონიმით იბეჭდებოდა.

1903 წელს კატო მიქელაძე მარიამ დემურიას და ნატალია გაბუნია-ცაგარლის დახმარებით გაემგზავრა მოსკოვში, სადაც იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების, პროფესორების მიერ დაარსებული იყო პედაგოგიური კურსები, ამ კურსებზე კ. მიქელაძე მსმენელად ჩაირიცხა. მწერალმა ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. მოსკოვის 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში.

1906 წელს, დუბასოვის რეაქციის დროს, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთის ტერიტორია და გასულიყო საზღვარგარეთ. სწორედ ამ დროს ეკუთვნის ლექსი „დედას", რომელიც კ. მიქელაძემ პარიზში დაწერა და თავის დედასამშობლოს უძღვნა:

„შორს უცხოეთში შენთვის გაჟრილი
წამალს დავეძებ, რომ მოგიტანო,
ვიცი, გულში ხარ მძიმედ დაჭრილი,
ჩემო ლამაზო დედა-ბატონო.
ქვა და გუნდები მეც დამიშინეს,
მისთვის რომ დამდევს შენი აჩრდილი,
მაგრამ გიჟებმა ვერ შემაშინეს,
შენი შვილი ვარ, შენი გაზრდილი..."

პროფესორ ალ. ხახანაშვილის და სოფიო ამირეჯიბის (დედა კონსტანტინე ამირეჯიბისა) დახმარებით კატო მიქელაძე იმავე წელს შვეიცარიაში მიემგზავრება, სადაც 10 თვეს რჩება. სოფიო ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ, კატოს დახმარებას უწევდა პეტრე ზუბალაშვილი, რომელმაც სწავლამოწყურებულ ქალს 1500 ფრანკი გადასცა.

1907 წლის იანვარში კ. მიქელაძე ქ. ჟენევიდან პარიზში წავიდა. იმდროინდელ ცნობილ რუს ემიგრანტთა დახმარებით კატომ კარგა ხანი დაჰყო ევროპაში, სწავლობდა ქალაქ ბრიუსელის უნივერსიტეტში, სოციოლოგიური მეცნიერების ფაკულტეტზე. 1914 წლის მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, კატო ჩამოდის საქართველოში, სამსახურს ვერ შოულობს და ქ. ქუთაისში კერძო გაკვეთილებით ირჩენს თავს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ ხანებში კატო მიქელაძე სათავეში ჩაუდგა ქალთა თანასწორუფლებიანობის საქმეს. ამავე წელს ქუთაისში დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა" და ორგანიზაცია „ინტერპარტიულ ქალთა ლიგა". საქართველოს მაშინდელი მენშევიკური მთავრობა ასეთ მოღვაწეობას დიდი ეჭვით უყურებდა, მაგრამ ამ ენერგიულმა ადამიანმა შეძლო ქართველ ქალთა ცნობიერებაში სინათლის შეტანა. იგი ძალ-ღონის დაუზოგავად ვაჟკაცურად უძღვებოდა ყოველკვირეულ გაზეთს. კატო მიქელაძემ გადალახა ყველა დაბრკოლება და როგორც თვითონ ამბობს, „მანამდე, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება კიდევ უფრო აიწეწდაიწეწა, ბათუმის მოწყვეტით, ფოსტის ალრევით და ქაღალდის კრიზისის გამო", მძიმე საქმის გაძღოლას მასების დახმარებით ახერხებდა. მკითხველები რედაქციას სისტემატურად უგზავნიდნენ ფულად შეწირულებას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის აფხაზეთიდან და აჭარიდან.

კ. მიქელაძე ახალგაზრდა ქალებს ამზადებდა პროპაგანდისტებად და დაბა-სოფლებში გზავნიდა აგიტაციის გასაწევად. თვითონაც დადიოდა სოფლებში, უხსნიდა ქალებს სოციალურ გარდაქმნათა მნიშვნელობას, უსურათებდა მშრომელთა უუფლებო ცხოვრებას, დააარსა ქალთა წრეები ზესტაფონში, სამტრედიაში, აბაშაში, სუჯუნაში, სადაც თვადაც კითხულობდა ლექციებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კატო მიქელაძე მწერალთა კავშირის წევრი გახდა. ის იყო პოეტი, მკვლევარი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში განაგებდა რევოლუციური მუზეუმის არქივს.

მწერალს საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა, მათ შორის მრავალი დაუბეჭდავი ნაშრომი; გარდაიცვალა 1943 წელს. დასაფლავებულია ვაკის ახალ სასაფლაოზე.

კატო მიქელაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ასეთ პატარა წერილში არ მოთავსდება. შთამომავლობა ალბათ ხშირად გაიხსენებს ამ ჩინებულ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

**შუშანა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჩალის ქუდი" — ელიტა.



„მარტოობის დღესასწაული" — მარგარიტა.



„ახი წლის შემდეგ" — ელის ჩემისოვა

# გურანდა გაბუნია

„ელისო", „ირინე", „როქსანა", „კლარა", „ჟოზე", „ბარონესა", „ისმენე"...

— ჩემს გულში კი თქვენი სახელის გაგონება „აქტრისა მარგარიტას" ასოციაციას აღძრავს.

— თქვენი ნებაა, — უსიტყვოდ, ლამაზი მიმიკით მრთავს ნებას მსახიობი, — მე კი პატარა ეპიზოდის დასრულებას ვაპირებ.

— მაშინ რუსთავის თეატრში იყავით, — ვახსენებ მსახიობს. ხმები დაირხა — „რუსთაველები" ყოველ სამშაბათს საგასტროლოდ დედაქალაქში იღლიანო. 1974-75 წლების სეზონი იდგა. ბილეთებისათვის, რასაკვირველია, რიგში დგომას ვერ ავცდი. ერთხელ, როცა ჩემმა ჯერმაც მოაღწია, სად იყო და სად არა, უცებ, ერთი თმაშევერცხლილი, ყავარჯნიანი კაცი წინ ჩამომიდგა... ბილეთის აღება სათუო შეიქნა, სამნი ვიყავით... ვაგრძელებ ამბავს და თვალწინ კვლავ ის დიდებული სპექტაკლი თამაშდება...

* * *

ვადიმ კოროსტილევი — „მარტოობის დღესასწაული" (ფიროსმანი) პიესა-მონოლოგი ერთ მოქმედებად, თარგმანი — მიხეილ ქვლივიძისა, დადგმა — გიგა ლორთქიფანიძის.

მშვენივრადაც დაიწყო. სრული სიბნელე, რომელიც მაყურებელს საკუთარ თავთან ტოვებს მარტო, პვრეტისაკენ განაწყობს.

ჯერ არაფერი მომხდარა, მხოლოდ ორიოდ სამი სიტყვა თქვა მსახიობმა და დარბაზი უკვე ჩურჩულებს „ისაა".

ახეა, გურანდა გაბუნია მაყურებლის წინაშე პირველი გამოჩენისთანავე გვაიძულებს ვიგრძნოთ მისი გმირის შინაგანი პრიმატი. სპექტაკლი გრძელდება.

მოლბერტების შუქჩრდილებიდან მისივე შექმნილი სახეები ფიროსმანს ედავებიან...

პირველობის სცენას უმართავს მარგარიტაც. „ფეხები მუთაქებს მიმიგავს, სირცხვილით თავი ველარ გამომიყვიაო". გული ეთანადრება მეთევზესაც, მეეზოვესაც...

— რა უმადურია ადამიანი... ეს ფოტოგრაფიული სიზუსტე რალამ შეაყვარა ამ დალოცვილებს!" — უკვირს ნიკალას, როცა საუბრობს მარგარიტასთან — თავის საწადელთან.

მარგარიტა როდი ეპუება მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელს: მოულოდნელად თავისსავე გამოსახულებას გამოეყოფა და ერთხელ კიდევ ცდილობს თავისი გმირის საუკეთესო თვისებები წარმოაჩინოს.

მარგარიტა ცეკვავს. ცეკვავს გურანდა გაბუნია.

* * *

ქორეოგრაფიაც სისხლხორცეულად ახლობელია მისთვის. ბავშვობიდან ადევნებია სურვილი. მშობლები — ცნობილი მსახიობები — გიორგი გაბუნია და თამარ მაკარაშვილი — ერთადერთი გოგონას აღზრდისათვის არას იშურებდნენ. პატარა გურანდა საბალეტო სკოლაში მიუბარებიათ... უფრო გვიან კი ცნობილი ქორეოგრაფის — დარახველიძის ანსამბლში ჩარიცხულა.

— 1957 წელი. გურანდა გაბუნია, გიზო ბერაძე, ლატავრა ფოჩიანი, იამა ზედაშიძე ლაურეატები ხდებიან.

1965 წელი. სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლი.

— საფრანგეთი.

— ბელგია.

— ჰოლანდია...

უამრავი საქებარი სიტყვა შემოხწირეს ქართულ ცეკვას. ბოლოს ისევ ოცნების ახდენა — თეატრი.

მომხიბვლელი მსახიობი სპექტაკლის შემდეგ გრიმს იშორებს. სარკეში მოჩანს, დაქანცული, მაგრამ მრავლისმეტყველი სახეაი, როგორია ახლოდან დანახული გურანდა, რომელმაც ეს წუთია მაყურებელთა დარბაზს მიუძღვნა თავისი სული, ნერვები, ძალღონე.

იგი ულმობელია არა მარტო თავისი გმირების შიდა სამყაროსადმი, არამედ მათი გარეგნობისადმიც. გავიხსენოთ სპექტაკლები „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „ჩვენ, მისი უდიდებულესობა", „ახი წლის შემდეგ", „ანტიგონე", „ქარიშხალი", „მიუნჰაუზენი", „ჩალის ქუდი"...

...მსახიობი გვაცნობს ქალის ტიპს, ცხოვრებისეულ ხასიათს, ხატავს თავის გმირთა ქალური ეგოიზმის, შურისგებისა და ავადმყოფური თავმოყვარეობის გასაოცარ სურათს. მის მიერ განსახიერებული როლები დამახასიათებელი ახირებულობით სისხლსავსე ხასიათებია, იშვიათად თუ ემორჩილებიან გონების ანალიზს.

როგორ ახერხებს ამას მსახიობი? მარტო ცხოვრების ცოდნითა და დაკვირვებით? იქნებ მკაფიო მეტყველებით? მოქნილი ჟესტით, მუსიკალობით?... რა თქმა უნდა, მსახიობი ამას გარდასახვის უბადლო ოსტატობით, როლის განცდით აღწევს. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მსახიობმა რეპეტიციის დროს ყველაფერი უნდა უკუაგდოს და დაივიწყოს, მთლად ყურადღებად გადაიქცეს, შეისისხლხორცოს ცხოვრება, ხასიათი, თვისებები იმ ადამიანის, რომლის წარმოდგენასაც აპირებს. ერთი სიტყვით, სცენაზე ცხოვრობდეს.

* * *

გურანდა გაბუნიამ ოცამდე როლი განასახიერა.

— თითოეულ რეჟისორს დამახასიათებელი ეპიზოდით იხსენებს, იხსენებს ხალისიან და საინტერესო რეპეტიციებს გიგა ლორთქიფანიძესთან, ლილი იოსელიანთან თუ რეზო მირცხულავასთან, რობერტ სტურუასთან თუ მიხეილ თუმანიშვილთან, ლანა ღოღობერიძესთან თუ ნუგზარ გაჩავასთან...

— საოცნებო როლი?

—სულერთია, ოღონდ, — აუცილებლად შექსპირისა.

— პარტნიორად ვის აირჩევდით?

— ცოდვა გამხელილი სჯობს — თვით ჩემს მეუღლეს — ოთარ მეღვინეთუხუცესს. მან ხომ საოცარი მოხმარება იცის. ყველა ხასიათის როლზე საინტერესოა მასთან მუშაობა, და დამერწმუნებით, რაოდენ ძვირფასია ერთგული მეგობრის ფხიზელი თვალი და გულწრფელი სიტყვა.

* * *

„ანტიგონე" (ავტორი ჟან ანუი).

პიესის ინტერპრეტატორი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი.

სცენას აზანზარებენ ძველი ბერძნები. სტატისტები შეუპოვრად დაბორიალობენ მუყაოს კედლებისა და დიდ ტილოებზე ბეჯითად დახატული მთების ფონზე. ერგვინავს მუსიკა. რას გახდება ერთი ადამიანი, გოგონა ანტიგონე (ზინა კვერენჩხილაძე) ყოვლის შემძლე ხელისუფლების წინაშე. წინააღმდეგობაც უაზრობაა, უშედეგოა. იგი არ უსმენს დას — ისმენს (გურანდა გაბუნია), შფოთავს, ბორგავს და კულმინაცია კრეონტთან შეჯახებაში ვლინდება. მრავლისმეტყველია ისმენეს თვალებიც, რომლებსაც შეუძლია გამოხატოს ყვირილი, სიცილი, ზიზღი, იმედი: ეს კი მსახიობის უბრალო აქტიორული ტექნიკა არ არის, არამედ გრძნობათა გადმოცემის ღვთიური, მადლიანი ნიჭია.

მსახიობს ასევე დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლში „ახი წლის შემდეგ".

— ელის ჩემისოვა ჩემი უსაყვარლესი როლია — ამბობს გურანდა.

აი, რას წერდა საგასტროლო მოგზაურობიდან (უნგრეთი) დაბრუნებული, ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე: „ახლა როცა ეს გასტროლები თეატრის ისტორიაა, მე იმ ომგადახდილის გრძნობა მეუფლება, რომელიც შინ მშვიდობით დაბრუნდა".

და თეატრთან ერთად ამ გამარჯვებით დაბრუნდა გურანდა გაბუნიაც!

* * *

ეს პიესაც („ახი წლის შემდეგ"), ისევე როგორც „მარტოობის დღესასწაული", დრამატურგ ვადიმ კოროსტილევს ეკუთვნის (თარგმანი მიხ. ქვლივიძისა) „ვადიმ კოროსტილევი ალალბედზე იპოვა რუსთავის თეატრმა, მიხეილ ქვლივიძეც იპოვა; პოეტურმა თეატრმა თავისი პოეტები, თეატრის პოეტები მეგობრებად დაიმკვიდრა", — წერდა დრამატურგი გიორგი ხუხაშვილი.

პოეტების ურთიერთობა „რუსთაველებთან" ჯერ კიდევ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკით" დაიწყო. რუსთავის თეატრმაც ხომ პირველ აფიშაზე „სირანო დე ბერჟერაკი" წააწერა. ცინცხალ რუსთაველ მაყურებელს როქსანად გაეცნო გურანდა გაბუნია. იგი ხელახლა შეამჩნიეს, ქეთევან კიკნაძის შემდეგ... ხევდის უცნაური შეგრძნება, ადამიანური ღირსების, ადამიანის ფასის დამკვიდრება ნათელ ზოლად გასდევდა სპექტაკლს.

— შემოქმედებითს სფეროში რაზე გიოცნებიათ?

— ერთადერთი ოცნებით ვინებივრებ თავს და მიგემია კიდეც მისი ახდენის სიხარული: „ანტიგონესა" და „ჩვენ მისი უდიდებულესობაში" ვთამაშობდი სერგო ზაქარიაძესთან ერთად!

* * *

ეს-ეს არის რუსთავის თეატრის მსახიობთა ნაწილი კვლავ „მარჯანიშვილს" დაუბრუნდა. მოგონებებს შეერივნენ „რუსთაველი სალამოები". ახალი როლები სხვა სპექტაკლში: „რას იტყვის ხალხი", (დრამატურგი რ. თაბუკაშვილი) გასული 1977-78 წლის სეზონი თეატრმა მოსკოვში „მცირე გასტროლებით" დააგვირგვინა.

მოსკოველ მაყურებელს წილად ხვდა ბედნიერება ენახა თეატრის „საუკეთესო დადგმები — „ოიდიპოს მეფე", „მარტოობის დღესასწაული", „ბერიკონი", „ბარონ მიუნჰაუზენი" (გრ. გორინი), „რვა მოსიყვარულე ქალი (რ. ტომა).

— ყოველი ჩვენი ჟესტი, — მიამბობს მსახიობი — მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, ესმოდა, მოსწონდა მოსკოველ მაყურებელს, რაც უზომო სიხარულს გვანიჭებდა.

კინორეჟისორები როშალი, კოჩერგინი, დანელია, ხელოვნებათმცოდნეები ფროლოვი, კაგარლიცკი და დიდი რეჟისორის მარჯანიშვილის შვილი—კონსტანტინე მარჯანიშვილი, აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ ქართველთა სამსახიობო სკოლისა და მისი გაუხუნარი ტრადიციების გამო. ცნობილ კრიტიკოსს ანიქსტს კი თხოვნით მიუმართავს მთელი დასისათვის, პრესის საშუალებით გააცანით ქართველ მკითხველსა და მაყურებელს ჩემი შეხედულება ქართულ თეატრზეო.

— მე კი... სიმართლე რომ გითხრათ, — საიდუმლოს მანდობს გურანდა გაბუნია, — რაც უფრო მემატება წლები, მით უფრო განვიცდი ყოველგვარ მიწიერს — დარდს, სიხარულს, ბედნიერებას და ეს ყოველივე ჩემი ხელოვნების საზრდოდ მიმაჩნია.

**თინა რეხვიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უხუცესი, მაგრამ 40 წლისა

შვიდი წლისა ვიყავი, დედამ პირველად ფუნიკულორზე ტრამვაით რომ ამიყვანა. აღმართზე ამავალ ტრამვაის ვაგონს შორიდან რომ ვუყურებდი, მეშინოდა. როცა შიგ ჩავსხედით, გული საგულეს აღარა მქონდა, გაწყდება და რა გვეშველება მეთქი.

დედამ შიში შემატყო და ყურში ჩამჩურჩულა:

— რას გატრუნულხარ, ნუ გეშინია!

ძირს სიცხის ბული ტრიალებდა, აქ კი ისეთი სიგრილე შემოგვხვდა, დედას მივეკარი. მეორე დღეს ბავშვებში ვტრაბახობდი: დაკიდებული ტრამვაით ავედი-მეთქი.

ვინ დამიჯერა. „სიზმარში?“ — იცინოდნენ ბავშვები:

ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი დედაქალაქის უძველესი პარკია. მის არსებობას 1900 წლიდან უდევს სათავე. ინჟინერმა ა. ბლაშმა და არქიტექტორმა ა. შიმკევიჩმა იგი 1900 წელს დააპროექტეს და ბელგიელ კომპანიონებთან ერთად 700 მეტრის სიმაღლეზე ტრამვაის ხაზის გაჭიმვა გადაწყდა. 1905 წელს ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელ პარკში ტრამვაიმ პირველი მგზავრი აიყვანა. მშენებელი ინჟინერი იტალიელი სპეციალისტი ანტონიო ფონტანაროსი გახლდათ, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩაზე („კირკაზე“) ცხოვრობდა. აქვე გარდაიცვალა და თბილისშივე დაკრძალეს.

1938 წელს პარკს ი. ბ. სტალინის სახელი მიენიჭა და ამ დღიდან იწყება მისი ახალი ცხოვრება.

საიუბილეო დღეებში პარკის დირექტორს ვესტუმრეთ. ვალერიან ხოფერიას კაბინეტის კედლები მოფენილია საპატიო დიპლომებითა და სიგელებით, რომლებიც კულტურისა და დასვენების პარკების საკავშირო თუ რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსებში გამარჯვებისათვის დაუმსახურებიათ.

—ყველაზე დიდი კონკურსი ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის გამო გაიმართა, რომელშიც პირველი ადგილი მოვიპოვეთ და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ — გვითხრა ვ. ხოფერიამ.

„პარკები მე-9 ხუთწლედს!“ — ასეთი დევიზით გამოცხადებულ დათვალიერება-კონკურსშიც გამარჯვებულები გამოვიდნენ, გარდამავალი წითელი დროშა, ლაურეატის წოდება და ფულადი ჯილდო მიიღეს.

მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო კონკურსში ჩვენმა თანამემამულეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის სტალინის სახელობის პარკის კოლექტივს ბრინჯაოს მედალი ხვდა (ოქროს მედალი არავის მიუღია).

რესპუბლიკაში არ ყოფილა მნიშვნელოვანი ღონისძიება, პარკის მშრომელებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა. ყვავილების ტრადიციულ დღესასწაულზე ისინი ხომ მუდამ იმარჯვებენ.

ამასწინათ ერთი გულშემატკივარი წერდა: რატომღაც ჩვენმა მებაღე-დეკორატორებმა დაივიწყეს ყვავილების ხალიჩების გაშენებაო. და აი, პარკის ტერიტორიაზე თვალს იტაცებს ცოცხალი ხალიჩები, რომლებიც ასე გემოვნებით მოუჩითავთ. პარკის მთავარი მხატვრის გოდერძი ჯორჯიკიას მიერ შემუშავებული პროექტით თვალწარმტაცი დეკორატიული კუთხეები გაუკეთებიათ დეკორატორ-აგრონომს დოდო გურგენიძეს, დეკორატორებს ნინო ამირანაშვილსა და ქენია მებაღოვას. საიუბილეო წელს რომ უფრო მეტი ელფერი და ლაზათი ჰქონოდა, წლეულს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს პარკის გაფორმებას, რა სახის გასართობი არ დაუმონტაჟებიათ. რაზე არ უზრუნიათ აქაურ მუშაკებს: — მიმოხილვის ბორბალი, ჯაჭვიანი კარუსელები, საქანელები, რაკეტოპლანი, ავტოდრომი...

როგორც პარკის დირექტორმა ვ. ხოფერიამ გვითხრა, პარკის ისტორიაში აქ პირველად დაიდო ბინა ახალმა მოძრავმა ცირკმა: „მოტოციკლი ვერტიკალურ კედელზე“. ჩეხოსლოვაკიიდან მოწვევით ჩამოვიდა „ლუნაპარკი“.

— ჩვენი პარკის იუბილე საკავშირო პარკების 50-ე წლისთავის ზეიმს დაემთხვა. ამ დღესასწაულისათვის განსაკუთრებული მზადება გაჩაღდა. ამ დიდი ღონისძიებების მხატვრული გაფორმება დაევალათ პარკის სამხატვრო ხელმძღვანელს ნათელა კოროშინაძესა და მთავარ მხატვარს გოდერძი ჯორჯიკიას.

— გ. ჯორჯიკიას დახვეწილ, მდიდარ გემოვნებას უნდა ვუმადლოდეთ პარკის შინაარსიან, ეფექტურ ღონისძიებებს. დინჯი, დაკვირვებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა მუდამ ახლის ძიებაშია და იმარჯვებს კიდეც, — თქვა ვ. ხოფერიამ.—მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება. გოდერძისა და დოდო გურგენიძისათვის პარკი მეორე ოჯახია.

წლეულს პარკის საყვავილე ნაკვეთები და გაზონები ახალი მცენარეებით გამდიდრდა. დაირგო ხუთი ათასი ძირი ნემსიწვერა, ათასობით ბეგონია, ლობელია, ვარდი, ფუქსია, პეტუნია, მარგოსთვალება. დაბალი ჯიშის ალტერნატებისაგან და ბალურებისაგან ფერადად მოიჩითა მხატვრული ორნამენტებიანი კუთხეები. მოეწყო ხელოვნურად დაწვიმების ავტომატები, რამაც გააუმჯობესა რწყვის პროცესი და ხუთი მუშახელი გამოათავისუფლა.

ჩვენს „უხუცესს“, მაგრამ 40 წლის პარკს მუდამ ჰყავს სტუმარიცა და მასპინძელიც, მიმლოცველიცა და მადლიერიც. და მეც დღევანდელ სურათს გონების თვალით ვადარებ ფუნიკულორზე ჩემს პირველ მგზავრობას, ოღონდ, ამჟამად, საბაგირო გზით რომ ავედით, პარკიც სულ სხვა სახისა დაგვხვდა. ასე იცის ხალხის გარჯამ, როცა გულში სამშობლოს და საქმის სიყვარული გიდევს!

**დოდო ზურაბაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და სელექციონერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ წევრი 1950 წლიდან ქსენია ბახტაძე.

ქალბატონმა ქსენიამ მთელი თავისი მეცნიერული საქმიანობა საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებას, მისი ბიოლოგიის, სელექციისა და მეთესლეობის საკითხების შესწავლას მიუძღვნა.

უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო მოგვიანებით წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. ავტორს საქვეყნო სახელი და დიდება მოუხვეჭა მოსკოვში გამოცემულმა წიგნმა „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

აკადემიკოს ქსენია ბახტაძეს 1948 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. იგი ასზე მეტი მონოგრაფიისა და ნაშრომის ავტორი გახლდათ. სახელოვანმა მეცნიერმა დიდი დრო და ყურადღება დაუთმო მეცნიერთა კადრების აღზრდას, განსაკუთრებით ახალგაზრდების წინსვლასა და წარმატებებს; მან აღზარდა, დაასოსტატა თაობები, რომლებიც დღეს ნაყოფიერად იღვწიან მთელ საბჭოთა კავშირში.

ქალბატონ ქსენიას დამსახურება ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს დიდი და პატარა მედლებით...

ღვაწლმოსილი მეცნიერის ქსენია ბახტაძის ნათელ ხსოვნას სამარადისოდ შეინახავს მადლიერი ქართველი ერი.

# თამთა დედოფალი

თამთა ქართველთა ათაბაგისა და მსახურთუხუცესის ივანე მხარგრძელის ასული იყო. ისტორიული ცნობებით უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის მეორე ნახევრის დამლევს. მამას თამთა ტყვეობიდან თავის დახსნის მიზნით მიუთხოვებია ხლათის სამფლობელოს მპყრობელის მელიქ-ელ-აუხოდისათვის. რძალი მუსულმანებს დიდად მოსწონებიათ და დედოფალს თურმე „საქართველოს მშვენებას“ უწოდებდნენ.

აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ისტორია: „1205-1210 წლებს შუა ივერიელებმა (ქართველებმა დ. ქ.) რამდენჯერმე გაილაშქრეს ქალაქ ხლათის დასაპყრობად, მაგრამ ქალაქი სალადინის ძმისწულის მელიქ-ელ-აუხოდის ხელში ჩავარდა. ივანე თავისი ძმით, ზაქარია მხარგრძელით გარშემოერტყა მას. კედლების შემოწმების დროს — ცხენით ჩავარდა ორმოში, ხიდქვეშ და მტრებმა დაატყვევეს. ტყვეობიდან თავი მხოლოდ მაშინ იხსნა, როცა თავისი ასული თამთა მელიქ-ელ-აუხოდს მიათხოვა, დიდძალი ხარკი მისცა და მუსულმანი ტყვეები დაუბრუნა“.

ივანე ათაბაგის ასულ თამთას კარგი განათლება მიუღია. იგი შორსმჭვრეტელი მანდილოსანი, ჭკვიანი დიპლომატი, მრავალენამეტყველი, სტუმართმოყვარე, ჩაგრულთა შემბრალე და ქველმოქმედი ყოფილა; გარეგნობით ლამაზი, დიდად მიმზიდველი და ჰაეროვანი, ქალთა შორის უმშვენიერესი, მომხიბლავი მოსაუბრე და ყოველმხრივ სიკეთით შემკული. მას განსაკუთრებით აფასებდა მეუღლე მელიქ-ელ-აუხოდი. თამთას წყალობით ქართველებს მუსულმანთა ქვეყანაში კრძალვითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

თამთა მხარგრძელი მუსულმანთა მიერ აღიარებული იყო ქალაქ ხლათის სასულტნოს უბრწყინვალეს დედოფლად, რომლის კარზე ქართველები დიდი პატივისცემით იყვნენ გარემოსილი. თამთა სადედოფლო ქვეყნიდან დახმარებას უწევდა საქართველოს მამულიშვილებს. დედოფალს მუსულმანთა სასახლეში კარგი სახელი ჰქონდა მოპოვებული და სამეფოს ჩინებულად განაგებდა.

1230 წელს ხვარაზმის სულთანმა ჯელალ-ედ-დინმა ხლათი აიღო და თამთა ხელში ჩაიგდო, მაგრამ იგი გაქცეულა, ივერიაში მისულა, შემდეგ ქართველთა დახმარებით მანგლისში გადასულა და უგედეი ყაენისაგან გამოუთხოვია ნებართვა — უკან დაებრუნებინა სულთან ჯელალ-ედ-დინისაგან მიტაცებული თავისი ქვეყნის ის მამულები, რომლებიც მის მფლობელობაში იყო.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ჯელალ-ედ-დინი მრავალრიცხოვანი ჯარით საჩქაროდ აიყარა და საქართველოს იმ ნაწილს მიადგა, რომელსაც ვარამ გაგელი (თამთას ბიძაშვილი, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მფლობელი) განაგებდა, აიღო ციხე შექანი და შემდეგ ალიაბადის ციხის დასაპყრობად გაემგზავრა, რომელიც ივანე მხარგრძელის ასულს თამთა დედოფალს ეკუთვნოდა.

სულთანმა მეციხოვნენი ამოხოცა, ქალაქი ააკლებინა, შემდეგ კაკისა და ყვარლის ციხეებს შემოარტყა ალყა, მაგრამ სამი თვე ვერაფერი დააკლო. მერე კი, როცა მცხოვრებლებმა შემოუთვალეს, ოღონდ ალყა მოხსენი და ფულს მოგცემთო, მაშინვე დათანხმდა, ფული მიიღო და ხლათისაკენ გაბრუნდა.

1239 წელს თამთამ და მისმა ძმამ ავაგმა მორჩილება განუცხადეს მონღოლთა ყაენს და წართმეული ადგილების დაბრუნება თხოვეს, ყაენმა და-ძმა პატივით მიიღო, დახმარება აღუთქვა და ორი წლის შემდეგ, 1241 წელს, საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა.

ამის შემდეგ, იბერიაში (საქართველოში) — მანგლისში მისულ თამთა მხარგრძელს ყაენის ბრძანებით მართლაც დაუბრუნეს მისი სამფლობელო ახალთის მაზრაში; ასევე დაუმტკიცეს დანარჩენი სამფლობელოები, რომლებიც აქამდე მათ ეჭირათ.

როგორც ჩანს, ამ საკითხის მოგვარებაში თამთა დედოფალს, როგორც უაღრესად განათლებულსა და შორსმჭვრეტელ მანდილოსანს დიდი დამსახურება მიუძღვის, რადგანაც მისი უშუალო გავლენით, მონღოლთა ყაენმა დიდგვაროვანთა წარმომადგენლებს ის ჩამორთმეული ადგილები გადასცა, რომლებსაც და-ძმა მოითხოვდნენ.

თამთა მხარგრძელის უსჯულოთა ქვეყანაში ცხოვრების ამბები აღწერილი აქვს მწერალ გრიგოლ აბაშიძეს რომან „დიდ ლამეში“.

ასეთია უცხოური თუ ქართული წყაროები ათაბაგ ივანე მხარგრძელის ქალის — თამთას შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1250 წელს ცოცხალი ჩანს; ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ წარიმართა იბერიაში, კერძოდ მანგლისში მისი ცხოვრების შემდეგდროინდელი ამბები.

დავით ქორიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო სუფრა

## ქათმის შეჭამანდი

ერთი მსუქანი ქათამი დაჭერით, ჩაყარეთ ქვაბში, დააყარეთ ერთი კილოგრამი ხახვი, ცოტა ნიორი, წიწაკა, დაფნის ფოთოლი, ხმელი სუნელი და შუშეთ ნელ ცეცხლზე თავის ცხიმში. ხორცი რომ მოიხარშება, ჩაამატეთ 2 ცალი ბროწეულის მარცვლები და ცოტა ხანს კიდევ შუშეთ, სანამ წვენს არ შეიყენებს. ბოლოს დაუმატეთ მარილი და მიირთვით ღომთან ერთად, ეს შეჭამანდი შეიძლება მსუქანი ძროხის ხორცისგანაც მომზადდეს.

## კომბოსტოიანი ღვეზელი

აიღეთ 300 გრამი კარაქი და სრისეთ გათეთრებამდე. სათითაოდ ჩაახალეთ 6 კვერცხი. ჩაუმატეთ 2 ჭიქა არაჟანი, ძმარში გახსნილი ნახევარი კოვზი სოდა, 3 ჭიქა ფქვილი და მოზილეთ ცომი.

1,5 კილოგრამი კომბოსტო დაჭერით წვრილად, ჩაყარეთ ადუღებულ წყალში და მოხარშეთ. რომ მოიხარშება, კარგად გაწურეთ.

250 გრამი ხახვი მოხრაკეთ 100 გრამ კარაქში. გააციეთ, აურიეთ გაწურულ კომბოსტოში, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი კამა, შავი წიწაკა, მარილი.

ცომი გაყავით ორად. გააბრტყელეთ ერთი ნახევარი, მოაყარეთ კომბოსტოს ფარში და წვრილად დაჭრილი 4 მოხარშული კვერცხი, ზემოდან დააფარეთ მეორე ცომი და გამოაცხეთ.

## ხაჭაპური

ერთ ქილა მაწონში ჩაყარეთ ჩაის კოვზზე ცოტა ნაკლები სოდა. აურიეთ და გააჩერეთ ცოტა ხანს. დაუმატეთ მარილი, 150 გრამი კარაქი, 3 ქვერცხი და ფქვილი, რასაც შეიზელს. ცომი გაყავით 2 ნაწილად და გამოაცხეთ ღუმელში, გრძელ ტაფაზე. თითო ხაჭაპურს დასჭირდება 800 გრამი უმარილო, ჭყინტი ყველი.

## ღორის მუჟუჟი

ღორის ფეხები კარგად ჩახარშეთ. აადუღეთ ნახევარი ჭიქა ძმარი ერთ ჭიქა ნახარშ ბულიონთან ერთად, უყავით დაფნის ფოთოლი, სურნელოვანი პილპილი, შავი პილპილი, ნიორი, დარიჩინი, შემდეგ ჩააწყვეთ შიგ მოხარშული ფეხები, დაასხით ცხელი ნახარში წვენი და გააჩერეთ ორი-სამი დღე გრილ ადგილას.

## ტორტი „დათუნია"

4 კვერცხის გული ათქვიფეთ 1 ჭიქა შაქარში. უყავით 300 გრამი გამდნარი კარაქი, ძმარში გახსნილი სოდა, მარილი, ვანილი, 2-3 ჭიქა ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით 3 ნაწილად. 4 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად. ჩააყარეთ 1 ჭიქა შაქარი, 1 ჭიქა ნიგოზი, მიღებული მასა სათითაოდ წაუსვით ყალიბში ჩასხმულ ერთ ფენას, ზემოდან გადააფარეთ მეორე ფენა და შედგით ღუმელში გამოსაცხობად. სანამ მთლად გამოცხვებოდეს, გამოიღეთ და მორთეთ შოკოლადის მინანქრით.

მინანქარი შემდეგნაირად მოამზადეთ: 3 ჩაის კოვზი კაკაო გახსენით ნახევარ ჭიქა შაქარში, დაასხით 3 სუფრის კოვზი რძე, უყავით 50 გრამი კარაქი და წამოადუღეთ.

## ციყვი

200 გრამი კარაქი და ერთი ჩაის ჭიქა შაქარი აურიეთ ერთმანეთში. თითო-თითოდ დაუმატეთ 5 კვერცხი. ჩაასხით 1 ქილა არაჟანი, ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, უყავით მარილი და ვანილი. 2,5 ჭიქა ფქვილი, მიღებული მასა დაასხით გრძელ ტაფაზე და გამოაცხეთ ნელ ცეცხლზე. როცა შეგრილდება, დაჭერით ჩაის ჭიქით. მორჩენილი ნაჭრები ისევ შედგით გამოსაცხობად, რომ გამოიყენოთ დასაფშვნელად და ნამცხვარზე მოსაყრელად.

ჭიქით გამოჭრილი ნაჭრები გადაჭერით შუაზე, წაუსვით ვაშლის პიურე ან კრემი და ისევ შეაერთეთ. ზემოდან მოაყარეთ დაფშვნილი მასა და პუდრა შაქარი.

კრემი შემდეგნაირად მოამზადეთ: აადუღეთ ერთი ლიტრი რძე, ჩაყარეთ ერთი ჭიქა შაქარი და მოურიეთ, გადმოდგით ცეცხლიდან და შეაგრილეთ.

3 კვერცხის გული და 1 კვერცხი ცილიანად ათქვიფეთ ნახევარ ჩაის ჭიქა შაქარში, უყავით 2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 2 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ნელნელა ჩაასხით თბილ რძეში, შედგით ცეცხლზე და განუწყვეტელი რევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ადუღეთ 5-10 წუთი. შეაგრილეთ, შეაზილეთ 100 გრამი დარბილებული კარაქი, უყავით ცოტა ვანილი და მორთეთ ნამცხვარი.

## ღოღნოშოს მურაბიანი ნამცხვარი

500 გრამი კარაქი ასრისეთ ორ ჩაის ჭიქა შაქარში. უყავით მარილი, ვანილი, სოდა, ნელ-ნელა უმატეთ 5 კვერცხის გული. ჩააყარეთ ფქვილი, მოზილეთ მაგარი ცომი, გაყავით 3 ნაწილად და გამოაცხეთ ცალ-ცალკე.

ორ ფენაზე წაუსვით უკურკო ღოღნოშოს მურაბა და შეაერთეთ. მესამე ფენა დაფშვენით და ზემოდან მოაყარეთ.

შეგიძლიათ იხმაროთ უკურკო ალუბლის მურაბაც უწვენოდ.

დიასახლისი
ლენა ჯიბლაძე

გარეკანის პირველ გვერდზე — ქეთევან ლოსაბერიძე; მეოთხე გვერდზე — მანდარინის კრეფა. დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.

| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)<br>ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 9/XI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XII-78 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 126.000, შეკვ. 3015 უე. 00995 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორეტა შენგელია-აბაშიძე — „სიბრძნე სი[illegible]





ლარისა ზამბახიძე „ტყეში"

აკაკი თევზაძე „ახალგაზრდები"



გურამ ღლონტი. „შუადღე"



ზაურ დეისაძე „კაატა".



ცინარა ტერელაძე. უ. შექსპირი. „საწყაული საწყაულისა წილ"



გიორგი წერეთელი. „შემოდგომის ფურცელი".



სსრ კავშირის მხატვართა კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით ქ. მოსკოვში მხატვართა სახლში მოეწყო შვიდი ახალგაზრდა ქართველი გრაფიკოსი მხატვრის ნამუშევართა გამოფენა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ლარისა ზამბახიძის, ცინარა ტერელაძის, ლორეტა შენგელია-აბაშიძის, ზაურ დეისაძის, აკაკი თევზაძის, გურამ ღლონტისა და გიორგი წერეთლის ფერადი ილუსტრაციები, ოფორტი, ლითოგრაფია, აკვარელი, ლინოგრავიურა...

გამოფენაში ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი დღე, მისი დიადი წარსული, ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება, შრომა, ყოფა... გრაფიკული ტექნიკის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, დახვეწილი, პროფესიული მაღალი დონე...

გამოფენა გახსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა ლეონიდ კარატეევმა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, სახალხო მხატვარმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ პონომარიოვმა, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ნოდარ ჯანბერიძემ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თენგიზ მენთეშაშვილმა, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დიმიტრი ბისტიმ, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მხატვარმა იგორ აბროსოვმა.

გამოფენამ დედაქალაქის სახვითი ხელოვნების მრავალრიცხოვან მოყვარულთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.



ИНДЕКС 76178